ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილების თანახმად ახორციელებს და მომავალშიც განახორციელებს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრებას, რომლის ფარგლებში მოხდება საჭიროებათა გამოვლენა და განმავითარებელი შეფასების მიცემა. სკოლამ წარმოადგინა კიდეც გაკვეთილზე დასწრების შეფასება და ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის სხდომის ოქმი, რომელშიც სხვადასხვა მასწავლებლების განხორციელებული აქტივობებია შეფასებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ **<u>სკოლის მასწავლებლების გარდა, სხვა თანამშრომელთა შეფასება და საჭიროებათა დადგენა სკოლის რეგულაციებით არაა გათვალისწინებული</u>**, რის გამოც ინდიკატორის მოთხოვნები სრულად ვერ დაკმაყოფილდება. <u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი - „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, მისი დამტკიცების ბრძანება, ასევე თანამშრომელთა შეფასების მიზნით ცვლილება შეიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში, რის გამოც საჭირო გახდა ცვლილების შეთანხმება სამეურვეო საბჭოსთან და ცვლილების დამტკიცება პედსაბჭოზე, სკოლამ დანართის სახით გამოაგზავნა შესაბამისი ოქმები, ასევე თანამშრომელთა შეფასების მიზნიტ შემუშავებული ინსტრუმენტები. **აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. „როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, სკოლის თანამშრომელთაგან მხოლოდ მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა მოხდება, აქედან გამომდინარე საჭიროებაზე დაფუძნებული პროფესიული განვითარება მხოლოდ მასწავლებელთა შემთხვევაშია შესაძლებელი. დანარჩენი თანამშრომლის პროფესიული განვითარება ვერ დაიგეგმება გამოვლენილ საჭიროებათა საფუძველზე, რის გამოც ინდიკატორის მოთხოვნები სრულად ვერ დაკმაყოფილდება“. აღნიშნული იყოს დასკვნის პროექტში. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი - „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, მისი დამტკიცების ბრძანება, ასევე თანამშრომელთა შეფასების მიზნით ცვლილება შეიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში, რის გამოც საჭირო გახდა ცვლილების შეთანხმება სამეურვეო საბჭოსთან და ცვლილების დამტკიცება პედსაბჭოზე, სკოლამ დანართის სახით გამოაგზავნა შესაბამისი ოქმები. ამასთან აღსანიშნავია, რომ „პერსონალის მართვის დოკუმენტი“ ითვალისწინებს პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების გეგმის შესაბამისად. **აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.**

3. პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებით სკოლამ მხარდამჭერ აქტივობად დაასახელა ინფორმაციების დროული მიწოდება ტრენინგების ან/და სხვა პროფესიული განვითარების ხელშემწყობ აქტივობების შესახებ, ასევე ტრენინგზე წასული თანამშრომლისთვის მოქნილი სამუშაო გრაფიკის შემუშავება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა დირექტორმა თქვა, რომ ახალ თანამშრომელს ყოველთვის ეხმარებიან, რომ მიეჩვიოს სამუშაო გარემოს, და მომავალშიც განახორციელებენ ამას, მაგრამ რაიმე წესის სახით ეს არ აქვთ შემიშავებული, ამასთან მზაობა გამოთქვეს, მომავლისთვის შეიმუშაონ ასეთი წესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. „სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე დამადასტურებელი აქტივობა, რომელიც დაადასტურებდა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივების წახალისებას“. აღნიშნული იყო დასკვნის პროექტში. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი - „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, მისი დამტკიცების ბრძანება, ასევე თანამშრომელთა შეფასების მიზნიტ ცვლილება შეიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში, რის გამოც საჭირო გახდა ცვლილების შეთანხმება სამეურვეო საბჭოსთან და ცვლილების დამტკიცება პედსაბჭოზე, სკოლამ დანართის სახით გამოაგზავნა შესაბამისი ოქმები, ამასთან აღსანიშნავია, რომ „პერსონალის მართვის დოკუმენტი“ ითვალისწინებს პერსონალის მოტივირებას და წახალისებას, შესაბამისობის გეგმას ასევე დართული აქვს სამსახურებრივი ბარათი, რომლითაც წარმატებული თანამშრომელთა წახალისების მიზნით სკოლის დირექტორს მიმართავს სკოლის საქმიანობის თვითშეფასების მიზნით შექმნილი კომისიის თავმჯდომარე. **აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი;
- გაკვეთილის შეფასების რუბრიკა;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- პედსაბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- დირექტორის ბრძანება;
- სამსახურებრივი ბარათი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი, რომელშიც აღწეილი იქნებოდა რაიმე ციკლი, რომელიც ხარისხის განვითარებას უზრუნველყოფდა. მართალია დირექტორმა ისაუბრა პროცესების დაგეგმვა - მონიტორინგის ციკლზე, მაგრამ დოკუმენტურად ვერ დასტურდება, თუ როგორ განახორციელებს სკოლა ხარისხის განვითარების ციკლს. <u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს დაწესებულების მიერ შემუშავებული (პედსაბჭოზე დამტკიცებული) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს დაგეგმვას, განხორციელებას მონიტორინგსა და შეფასებას.</u> **<u>აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში</u>**.

2. სკოლას იდენტიფიცირებული აქვს სკოლის ძირითადი, დამხმარე და მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები სხვადასხვა დოკუმენტებში, სასკოლო სასწავლო გეგმა აღწერს ძირითად საქმიანობას, ასევე ძირითადი საქმიანობას ეხება შინაგანაწესის 23-ე მუხლი, რომელიც სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს აღწერს. სკოლის წესდებაში და თანამდებობრივ ინსტრუქციებში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მოვალეობებით აღწერილია პროცესები და აქტივობები, რომლებიც მოიცავს როგორც მმართველობით, ასევე დამხმარე პროცესებს. ფაქტიურად სკოლას იდენტიფიცირებული აქვს ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლით გაცხადებულია, რომ სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლამ წარმოადგინა მშობლის განცხადების (საჩივრის) საფუძველზე წარმოებული დისციპლინური წარმოების მასალები: ახსნა-განმარტებები და დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი. მიუხედავად იმის, რომ სკოლამ წარმოადგინა საჩივრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განხილვის გარკვეული პროცედურა, **სკოლას ეძლევა რჩევა საჩივრის განხილვის სისტემურობისთვის სკოლის მიერ დამტკიცდეს მარეგულირებელი წესი.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები დაცულია სკოლასა და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით; სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულებით და დირექტორის 2023 წლის 16 ივნისის N2-202 ბრძანების „ მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტის“ შესაბამისად. გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „სკოლაში მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 სექტემბრის N2-268 ბრძანებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლასა და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულება;
- „სკოლაში მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები“
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 სექტემბრის N2-268 ბრძანება;
- სკოლის შინაგანაწესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო საზოგადოების ერთ-ერთ საშუალებად იყენებს სკოლის საინფორმაციო დაფას, ასევე სკოლის სოციალურ ქსელს, გეგმავს გამოიყენოს სკოლის ვებ-გვერდი. გარდა ამისა კლასების მიხედვით ხდება ინფორმაციის გაცემა და უკუკავსირის მიღება მსობელთა კრებებზე, როგორც დასწრებიტ ფორმით, ასევე სოციალური ქსელის მესენჯერ ჯგუფებში. ასევე წარმატებით გამოიყენება სატელეფონო ინფორმირების ხერხი, ნაკლებად, მაგრამ გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები წარმომადგენლობითია, კერძოდ სამეურვეო საბჭოში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, ასევე შესაძლებელია სამინისტროს წარმომადგენელი, თემის წარმომადგენელი); ასეთივე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი; გარდა ამისა, სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; მოსწავლეთა თვითმმართველობა, სადაც მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს ირჩევენ; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ინტერვიუ სკოლის დირექტორთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- პედსაბჭოს ოქმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ აქვს დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა“, რომელიც გაგზავნილია შესათანხმებლად შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლამ წარმოადგინა სამსახურიდან მიღებული ელექტრონული ფოსტის წერილი, სადაც სამსახური ატყობინებს, რომ მათი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში რეგისტრირებულია ნომრით №2844654; 28.09.2023წ . ვიზიტის პერიოდში **შეთანხმების პროცესი დასრულებული არ იყო**. სკოლამ **ვიზიტის დროს წარმოადგინა სახანძრო სამსახურის მიერ სკოლის შემოწმების მიწერილობა (დასკვნა)** და ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა. **ხარვეზების აღმოსაფხვრელად სკოლისთვის მიცემული ვადა უკვე გასულია, მაგრამ სკოლა უსახსრობის გამო ვერ ძლევს პრობლემას**. სკოლას ეთხოვა სახანძრო მიწერილობა გადმოეგზავნა სხვა დოკუმენტებთან ერთად, რომლების ვიზიტის დროს გადმოაგზავნეს, მაგრამ სკოლამ არ გადმოაგზავნა აღნიშნული მიწერილობა. ამ პრობლემის მოგვარების თხობნით სკოლამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს MES 8 23 0001007172, 17/08/2023 წერილით, რომელიც წარმოდგენილია სკოლის მიერ ვიზიტის დროს გადმოგზავნილ მასალებში. სააგენტოს პასუხი სკოლას არ წარმოუდგენია.
   სკოლას ჰყავს ექიმი და აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია 2022 წლის 21 მარტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნების თანახმად. ექიმი თავის კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს ჟურნალებს ზემოაღნიშნულ ბრძანებაში წარმოდგენილი დანართების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაბამისად. ამავე ბრძანების რეკომენდაციების შესაბამისად, მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, სკოლას რეკომენდებულია ჰყავდეს 2 ექიმი. სკოლამ ინტერვიუს დროს განმარტა, რომ თავადაც ჰქონდა ასეთი მოთხოვნა, მაგრამ უთხრეს, რომ ორი ექიმის მოთხოვნა ორი სასწავლო კორპუსის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი.

სკოლას ჰყავს მანდატური, სკოლა უმეტესად აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, თუმცა არა სრულყოფილად. კამერების სრულყოფილად აღჭურვას სკოლა ითხოვს ინფრასტრუქტურის სააგენტოსგან ზემოთ ნახსენები წერილით. საპასუხო წერილი სკოლას არ წარმოუდგენია.

ვიზიტის პერიოდში სკოლას ეთხოვა, თუმცა, **სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.**

<u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს: ა) სკოლაში საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება, მასში ცვლილების შეტანის ბრძანება, საგანგებო შტაბის მიერ შემუშავებული, დირექტორის მიერ დამტკიცებული და შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა და შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი გეგმის შეთანხმების შესახებ - აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნის ეს ნაწილი დაკმაყოფილებულია; ბ) დაწესებულების მიერ განმეორებით წარმოდგენილ იქნა ინფრასტრუქტურის სააგენტოში გაგზავნილი წერილი, რომელზეც ამავე ინდიკატორის აღწერის ზედა ნაწილშია საუბარი, ასევე ინვოისი, რომელშიც სახანძრო სამისამართო სიგნალიზაციის პროექტირებისა და ხარჯთაღრიცვაა მოცემული. აღნიშნული აქტივობის შესრულების და სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვების ვადად განსაზღვრულია 25.08.2023 – 31.03.2024. ინდიკატორის მოთხოვნის ეს ნაწილი დაკმაყოფილებულია მეტწილ შესაბამისობაში; გ) სკოლამ ასევე წარმოადგინა წერილი, რომლითაც მიმართავს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სენობის უსაფრთხოების შემოწმების</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

<u>თხოვნით. ამ დასკვნის მოპოვების ვადად სკოლას განსაზღვრული აქვს 25.08.2023 – 31.03.2024 პერიოდი. **აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში**.</u>

2. სკოლა იცავს და ახორციელებს "ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პროცედურებს. ამ წესის შესაბამისად სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, წარმოდგენილია მრჩეველთა საბჭოს ოქმი. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ამ წესის შესაბამისად მანდატური და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა შემოსვლა აღირიცხება ვიზიტორთა ჟურნალში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. "ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების ერთ-ერთი მიზანი სწორედ "ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაა", ბრძანების მოთხოვნების განხორციელებამ, უნდა უზრუნველყოს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა. რომლის უზრუნველსაყოფად დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეებთან მუშაობენ შესაბამისი თემებით. გარდა ამისა, ამავე გარემოს შექმნას უწყობს ხელს ის გარემოება, რომ ზემონახსენები ბრძანების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის, სახალხო დამცველის, განათლების სამინისტროს, მანდატურის ნომერები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ექიმმა, დოკუმენტაციის შემოწმებისას წარმოადგინა სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე კონტროლის აღრიცხვის ჟურნალი, სადაც ასახულია სკოლის შენობის შემოწმების თარიღი, ადგილი, მდგომარეობა სანიტარულ- ჰიგიენური კუთხით და გაცემული რეკომენდაციები. ექიმის ხელშეკრულებით განსაზღვრულია ექიმის მოვალეობა (პუნქტი 3.3.18 და 3.3.19), რომლის მიხედვითაც სკოლის ექიმი ვალდებულია განახორციელოს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე კონტროლი, სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვის შესახებ, ასევე გაუწიოს ზედამხედველობა სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათი უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას. უსფართხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლამ მიმდინარე შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ცენტრალურ ქიმიურ-მიკრობიოლოგიურ საგამოცდო ლაბორატორიას შეამოწმებინა სასმელი წყლის ხარისხი, საიდანაც გამოცდის ოქმიN 257, 02.08.2023 -ით სკოლას აუწყეს, რომ სასმელი წყალი ნორმის ფარგლებშია. სკოლას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ექიმთან ერთად განსაზღვრული ჰყავს ბიბლიოთეკარიც (ბრძანება N2-333, 03.09.2020)

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალის მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“ განსაზღვრულია პერსონალური მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე. ჩანაწერები, რომლებიც პერსონალურ მონაცემებს შეეხება დაცულია საჯარო სივრცისგან. ინფორმაცია რომელიც საჯაროა, მაგრამ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სკოლიდან გადის პერსონალური მონაცემების დაფარვის შემდეგ. სკოლა უთანხმდება პერსონალური მონაცემების პატრონს, მისი მონაცემების დამუშავების ხარისხის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. სკოლის ნებისმიერი თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს მისთვის ცნობილი ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნება ზიანს მიაენებს დამსაქმებლის ინტერესებს, მათ შორის პერსონალირი ხასიათის ინფორმაცია. სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პირველადი ავტორიზაციის გამო ვერ ხერხდება რომ გადამოწმდეს სკოლა როგორ აწარმოებს ადამიანების/პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ შეფასებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ცენტრალურ ქიმიურ-მიკრობიოლოგიურ საგამოცდო ლაბორატორიას ოქმიN 257, 02.08.2023;
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსადმი MES 8 23 0001007172, 17/08/2023 წერილი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ოქმი;
- ექიმის ხელშეკრულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება
- საგანგებო შტაბის მიერ შემუშავებული, დირექტორის მიერ დამტკიცებული და შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი გეგმის შეთანხმების შესახებ;
- ინვოისი სახანძრო სამისამართო სიგნალიზაციის მოწყობის შესახებ.
- წერილი სამხარაულის ეროვნულ ბიუროში.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლამ, შენობის ფლობის დამადასტურებლად, წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი. ამონაწერის მიხედვით (საკადასტრო კოდი: 01.19.20.021.025), მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო სკოლა მოსარგებლეა არსებობის ვადით. საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია მიწის ნაკვეთი ფართით 5902.00 კვ.მ და მასზე არსებული შენობები: – N1 – 4 სართულიანი, საერთო ფართით 3542,08 კვ.მ., მათ შორის სარდაფის ფართი 697,19 კვ.მ.; N2 – 4 სართულიანი, საერთო ფართით 1706,16 კვ.მ., მათ შორის სარდაფის ფართი 337,61 კვ.მ.; N3 - ერთსართულიანი ანტრესოლით, საერთო ფართით 322,95 კვ.მ., მათ შორის ანტრესოლი 26,1 კვ.მ.; და N4 – 2 სართულიანი, საერთო ფართით 1348,75 კვ.მ., მათ შორის სარდაფის ფართი 456,0 კვ,მ.
   საჯარო რეესტრის ამონაწერში განახლებას საჭიროებს ბუფეტის იჯარის შესახებ ჩანაწერი, რადგან ამონაწერში არ არის ასახული ამჟამინდელი იჯარა და მხოლოდ გასული წლების იჯარაა ასახული.
   სკოლის შენობაში სულ 45 საკლასო ოთახია. სკოლაში კი 64 ფინანსური კლასია, ამის გამო 19 კლასი (I-III კლასები) მეორე ცვლაში სწავლობს. (საგულისხმოა, რომ მეორე ცვლაში ასევე დროებით სწავლობს ქალაქ თბილისის N97 საჯარო სკოლა, რომლის შენობას უკეთდება რეაბილიტაცია). გარდა საკლასო ოთახებისა სკოლაში არის კომპიუტერული კლასი, ქიმია-ბიოლოგია-ფიზიკის ლაბორატორია, კომპიუტერული კლასი, საკონფერენციო (შეხვედრების) ოთახი, ბიბლიოთეკა, 3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რესურსოთახი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახები, ბუფეტი, სპორტული დარბაზი, სველი წერილები და სხვა დამხმარე ოთახები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი; ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც მოცემულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; ასევე ციფრული განვითარების გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ინკლუზიური განათლების მიმართულების კარგი მდგომარეობაა, სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ, **მოწყობილი არ არის პანდუსები შიდა კიბეებზე**, თუმცა, მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები და სკოლაში შესაბამისი რესურსით აღჭურვილი სამი რესურსოთახია. საგულისხმოა, რომ სკოლა, ზემოთ ნახსენებ წერილში საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სთხოვდა ლიფტის მოწყობას. <u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს დაწესებულების მიერ</u> საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან გაგზავნილი ზემოთნახსენები წერილი და საპასუხო წერილი (N1010898, 18.08.2023), რომლითაც სკოლას ეცნობა, რომ ამ ეტაპზე თბილისი N108 საჯარო სკოლა არ არის ჩასმული სარეაბილიტაციო დაწესებულების ნუსხაში ჩასმული, თუმცა მომავალი ნუსხის შედგენისას გაითვალისწინებენ ჩასმის საკითხს. სკოლას აღნიშნული ხარვეზის მოგვარების ვადად შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული აქვს 15.11.2023 – 15.11.2024 პერიოდი. <u>**აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, ყველასთვის ერთნაირად და თანაბრად. სკოლის ფოიეში და დერეფნებში გამოკრულია სასკოლო საზოგადოების საქმიანობის ამსახველი მასალები. ხშირად ერთობლივი ნამუშევრები. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ფოიეში გამოფენილი 2008 წლის ომის გმირებისადმი მიძღვმილი წიგნი, რომელშიც ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ნარკვევები სასკოლო საზოგადოების და განსაკუთრებით მოსწავლეთა აქტიური ჩართულობითაა განხორციელებული

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგია. ლაბორატორიას ახლავს საცავი. ლაბორატორიის საცავში არის ონკანი ნიჟარით, ამწოვი სისტემა არ არის, თუმცა არის ბუნებრივი განათება/განიავების საშუალება, სკოლას გარდა სტანდარტული ლაბორატორიული აღჭურვილობისა (ე.წ. აინშტაინის ლაბორატორია) აქვს ადრინდელი ხელსაწყოები და ქიმიური ჭურჭელი. **სკოლას ეძლევა რჩევა სველი წერტილი მოაწყოს ლაბორატორიაშიც (მხოლოდ საცავშია სველი წერტილი), ლაბორატორიაში დადგას ცეცხლგამძლე ზედაპირიანი მაგიდები და დაამონტაჟოს ამწოვი სისტემა.**

   გარდა ამისა სკოლას აქვს კომპიუტერული კლასი, პირველკლასელ მოსწავლეებს გადაეცემათ ბუკები. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტის დარბაზი გასახდელებით. სკოლის ბიბლიოთეკაში არის კურიკულუმით განსაზღვრული სასკოლო სახელმძღვანელოები და მხატრული ლიტერატურა, სკოლაში არის სხვადასხვა სახის რუკები და თვალსაჩინოებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი: 66.58.07.170;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ციფრული განვითარების გეგმა;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლას აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს და მომავალშიც შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესს. სკოლაში არის 74 კომპიუტერი და 41 ლეპტოპი. სკოლას აქვს პრინტერები, ქსეროქსები და პროექტორი 9 ცალი. სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება, როგორ სასწავლო პროცესში, ასევე ადმინისტრაციული საქმიანობის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებიტ სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესს. სკოლას აქვს ციფრული განვითარების გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული განვითარების გეგმა;
- მატერიალური რესურსებით (კომპიუტერული ლაბორატორიის) სარგებლობის წესი;
- კომპიუტერების მიღება ჩაბარების აქტები.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს "საქმისწარმოების წესი", სკოლას ამ წესით განსაზღვრულია სამი ტიპის დოკუმენტ: ა) შემოსული ბ) გასული; გ) შიდა დოკუმენტაცია. განსაზღვრულია წესი, რომელი დოკუმენტი რომელ ტიპს განეკუთვნება და აღწერილია მისი რეგისტრაციის წესი. სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებებს, რომლების დაჯგუფებულია საერთო და საკადრო ბრძანებებად. სკოლა არეგისტრირებს შემოსულ და გასულ დოკუმენტაციას. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow)-ში. სკოლის ყველა თანამშრომელს გააჩნია საკუთარი პროფილი ამ სისტემაში. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო school.emis.ge სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა "სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლა". პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლა აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს თავისი საქმიანობის შესახებ იმ უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები. მაგალითად სისტემატიურად, ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის სკოლა აწვდის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს და ასევე ანგარიშს აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში.სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფომრაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი - სკოლის საქმისმწარმოებელი. ყოველწლიურად სკოლის ბუღალტერი სკოლის ბალანსს წარუდგენს საგანმანათლებლო რესურსცენტრს. ასევე ყოველწლიურად სკოლის დირექტორის ვალდებულია 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს ანგარიში წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით;
- სკოლის პროფილით ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- სკოლის დირექტორის წარდგენილი ანგარიშით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანებით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ანგარიშით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც, სკოლის შესახებ ზოგად ინფორმაციას იძლევა. ვებ გვერდზე არის სკოლასთან საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ ინფორმაცია. მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციის საშუალებად გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. გარდა ამისა დამრიგებლებს მშობლებთან აქვთ სატელეფონო ან/და სოციალური ქსელებით კომუნიკაცია საზოგადოების ინფორმირებისთვის ასევე გამოიყენება სკოლის საინფორმაციო დაფა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული აქტივობის ამსახველი მასალა, არის სანდო და უტყუარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობას მათგან უკუკავშირის მისაღებად იყენებს, ელექტრონული ფოსტას, სოციალური ქსელს, Forms-ის კითხვარს, სატელეფონო კავშირებს და სხვა ელექტრონული არხების საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელიც ახალი შექმნილია და ეტაპობრივად ახლდება ინფორმაციები. ვებ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე - იმ ენაზე, რა ენაზეც სკოლა ახორციელებს სწავლებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის აქვს ვებ-გვერდი და ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებულია

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდია: https://skolebi.emis.ge/schools/127?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%96108%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
- ელექტრონული ჟურნალი;
- სოციალური გვერდი - https://www.facebook.com/108skola
- სკოლის საინფორმაციო დაფა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. ბიუჯეტით შესაძლებელია სამოქმედო გეგმის უზრუნველყოფა (განხორციელება) არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლა გააგრძელებს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა. სკოლა ყოველი ფინანსური წლის დაწყებამდე ამტკიცებს შესყიდვების გეგმას, რომლის დამტკიცებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გათვალისწინებულია წინა წლის გამოცდილება (მონიტორინგისა და შეფასების გზით), ფინანსების განკარგვა ხდება დამტკიცებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის წარსდეგება სამეურვეო საბჭოს წინაშე ანგარიშით, მათ შორის ფინანსური ანგარიშით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023 წლების ბიუჯეტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 20 სექტემბერს, ბრძანება N2-568.

დოკუმენტის მიხედვით სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, ასევე მათი მშობლები როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, სარგებლობენ უფლებებით, რომელიც გარანტირებული აქვთ საქართველოს კონსტიტუციით. მათ შორიასაა გამოხატვის, რწმენის, შეკრების და აკადემიური თავისუფლება. ასევე პირადი საიდულების უფლება, უფლება მიიღონ საჯარო ინფორმაცია, სასკოლო რესურსებზე წვდომის უფლება, სამართლიანი მოპყრობის უფლება. დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია დისციპლინის საკითხები, მათ შორის გასაჩივრების ეფექტური სისტემაცაა. დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით. სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლას ჰყავს ექიმი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ერთ-ერთი ფიგურანტები არიან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. „მოსწავლის, მისი მშობლი/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებებისა დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი“, რეფერირების წესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მორიგეობის განრიგი, ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები, გასაჩივრების წესი და სხვადასხვა შიდა რეგულაციები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. სკოლის მხარემ გვაჩვენა და ვიზიტის დროს გადმოაგზავნა კიდეც მოსწავლის მშობელთან/ მის კანონიერ წარმომადგენელთან დაასადები ხელშეკრულების ნიმუში და გააკეთა განაცხადი, რომ მომავალ სასწავლო წელსაც დაიდება ხელშეკრულება სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/ მის კაანონიერ წარმომადგენელთან

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფლიებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- დირექტორის 2023 წლის 20 სექტემბრის, ბრძანება N2-568;
- რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება N2-590, 13.10.2022
- რეფერირების წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 21 ივნისის N2-304

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ბრძანებით“. დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. მობილობა - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით, საფეხურის დაძლევა - ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების შესაბამისად. საფეხურის დაძლევის შესახებ სკოლას ჩაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაშიც, რომელიც შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის დაძლევის წესისა.

ინდიკატორის მოთხოვნები დამაყოფილებულია

2. როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები, ის იცავს აღნიშნულ წესს.სკოლამ წარმოადგინა თითოეული აქტივობის შესაბამისი ბრძანებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სხვადასხვა ტიპის დამატებით მომსახურეობას წრეების სახით, გარდა ამისა სკოლასი მოქმედებს რამოდენიმე კლუბი. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე კლუბების დებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, თუ წრე ან მომსახურეობა ფასიანია (მაგალითად გახანგრძლივებული), მოსწავლის მშობელთან, დამატებითი ფორმდება ხელშეკრულება რომელშიც აღწერილია მომსახურეობის კონკრეტული პირობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს ვებ გვერდის ან/და სოციალური ქსელის ან/და სკოლის საინფორმაციო დაფის, ან/და პერსონალის მეშვეობით. გავრცელებული ინფორმაცია არ არღვევს კანონმდებლობას, არ არის დისკრიმინაციული, გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ინფორმაცია არის განახლებადი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის ვებგვერდი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის ამორიცხვის შესახებ
- სსიპ ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის დირექტორის საბაზო საფეხურის დაძლევის შესახებ;
- სსიპ ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის დირექტორის კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ
- სსიპ ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის დირექტორის საბაზო საფეხურის დაძლევის შესახებ
- სსიპ ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის დირექტორის მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ
- ხელშეკრულების ნიმუში მშობელთან;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რომელიც წარმოადგენს არა მარტო პირველკლასელთა და მობილობით გადმოსულ მოსწავლთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობ მექანიზმს, არამედ სსსმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა და საფეხურიდან საფეხურზე გადასულ მოსწავლეთა მხარდამჭერ მექანიზმს. წესით განსაზღვრულია წარმატებული ადაპტაციის და დეზადაპტაციის ნიშნები; რეკომენდაციები წარმატებული ადაპტაციისთვის და დეზადაპტაციისას განსახორციელებელი ღონისძიებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ ადაპტაციის აღნიშნული წესი დაამტკიცა 2023 წლის 25 სექტემბერს (ბრძანება N2-577) და აპირებს ამ წესით განახორციელოს ადაპტაციის პროცესი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა წესის გარეშეც ახერხებდა ადაპტაციის ხელშეწყობას. მაგალითად სკოლის მიერ გადმოგზავნი დოკუმენტაციაში არის ბაღის აღსაზრდელებისთვის სკოლის გაცნობის ამსახველი ფოტომასალა, ასევე პირველკლასელთათვის და მათი მშობლებისთვის შექმნილია ვიდეო რგოლი, რომელშიც ხდება სკოლის ინფრასტრუქტურის გაცნობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას დამრიგებლის მუშაობის ფუნქციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების მხარდაჭერა და მშობლის ინფორმირების მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია რომ მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ ექსტერნის ან საშემოდგომო გამოცდა სკოლა გაუწევს სათანადო კონსულტაციებს. სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა. მოსწავლეთა ადემიური მხარდაჭერისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზების გაკეთება, რის შემდეგაც გამოვლენილ საჭიროებებზე განახორციელებს შესაბამის ინტერვენციებს/კონსულტაციებს, რაც დაეხმარება მოსწავლეს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. განათლების შეუზღუდავად მიღებისათვის სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. კერძოდ ადმინისტრაცია მოსწავლეებისთვის ქმნის ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს. მოსწავლეს ეძლევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თვითრეალიზების შესაძლებლობა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების პროცედურები და სკოლის მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები. სკოლის განცხადებით, ადმინისტრაცია და არსებული ადამიანური რესურსი მუდმივად ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებისთვის. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითთმართველობასთან. საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს. მხარს უჭერს კლუბების შექმნის ინიციატივებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი წესი. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა ფუნქციონირებს და აქტიურად არის ჩართული სასკოლო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში მოქმედებს კლუბები: ციფრული მოქალაქე - ციფრო TV; სამოქალაქო განათლების კლუბი -მაინდერები; რობოტიკი - ფაბ-ლაბი, მოქმედებს ილიაუნის მხარდაჭერით; მათემატიკის კლუბი; ეკოკლუბი; ლიტერატურის კლუბი. სკოლას დამტკიცებული აქვს კლუბების დებულებები. სკოლაში უხვად არის კლუბების მუშაობის ამსახველი მასალები. კლუბების შეხვედრებისთვის სკოლაში გამოყოფილია ცალკე სივრცე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლამ განცხადება, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის უკუკავშირის საფუძველზე კლუბების უმეტესობა უკვე რამოდენიმე წელია ფუნქციონირებს. თვითმართველობიდან უარყოფითი უკუკავშირის შემთხვევაში ისინი შეწყვეტდნენ ფუნქციონირებას. გარდა ამისა სკოლა სასწავლო წლის ბოლოს აკეთებს ხოლმე ე.წ. კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა მომსახურეობის გაუმჯობესება. მაგალითისთვის სკოლამ დაასახელა ის ფაქტი, რომ გასულ წელს ორცვლიანი სწავლის გამო გაკვეთილების ხანგრძლივობა 35 წუთიანი იყო, რამაც უარყოფითი შეფასება დაიმსახურა მშობელთა მხრიდან და მიმდინარე წელს გახადეს 40 წუთიანი გაკვეთილები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის კლუბების დებულებები;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მემორანდუმი აქვთ გაფორმებული საპატრიარქოსთან, რომლის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს წიგნის ყდის გაფორმებაში და მებაღეობაში. წიგნის ყდის გაფორმები პროექტში გამოსცეს სასკოლო წიგნი, რომელიც ეძღვნებოდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის მოსწავლეთა ოჯახის წევრებს, რომლებიც დაიღუპნენ 2008 წლის ომში. წიგნის სტატიები თავად მოსწავლეებმა მოამზადეს. აკინძული და გაფორმებული წიგნი დევს სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფასთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ აღნიშნა, ხშირად აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას პროფესიაზე. ასევე ხშირად სტუმრობენ ხოლმე სხვადასხვა პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებლებს. სკოლამ წარმოადგინა ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში ვიზიტის ბმული. ასევე ხშირად ხდება მშობელთა მოწვევა სკოლაში, რომლების ესაუბრებიან თავიანთ პროფესიებზე. სკოლის მშობელთა საკმაო ნაწილი არის სამხედრო მოსამსახურე და ხშირად სამხედრო მოსამსახურეებთან ხდება შეხვედრები. სამხედრო სამსახური საკმაოდ პოპულარული ყოფილა სკოლაში. ამ ფაქტის გამოხმაურება იყო წიგნის შექმნა 2008 წლის გმირებზე, რომლებიც სკოლის მოსწავლეთა ოჯახის წევრები იყვნენ. ამ წიგნმა საპატრიარქოს ზემოთაღნიშნულ წიგნის დიზაინის კონკურსში გაიმარჯვა და 300 ლარით დაჯილდოვდა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. წინა ინდიკატორშიც აღინიშნა, რომ სკოლა ახორციელებს კმაყოფილების კვლევას და შედეგებს ითვალისწინებს შემდგომი დაგეგმვისას. მშობელთა ჩართულობა სკოლის აქტივობებში ხშირია და ხშირად უკუკავშირები არაოფიციალურ გარემოშიც გამოითქმება, რაც მნიშვნელოვანია სკოლისთვის და ცდილობს ხოლმე გაითვალისწინოს მშობელთა რჩევები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- https://www.facebook.com/sanguofficial/posts/pfbid033vsh95vWb3Aisx3rc2UqAsP8Ae4AK1P5eGdvrHsFZeQ6ruqPSFMdcBLriXG9wpgzl - ვიზიტი ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში;
- ვიზუალური დათვალიერება სკოლის საინფორმაციო დაფის.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის №16/ნ ბრძანებას. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, თითოეული მათგანი შეფასებულია სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლის მშობელმა დამრიგებელმა საგნის მასწავლებლებმა და სპეცმასწავლებელმა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების პრინციპები, ზოგადი დებულებები, სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირება, ისგ ჯგუფისა და ისგ-ის შექმნის პროცედურები, სსსმ მოსწავლის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების წესი, სსსმ მოსწავლის შინ სწავლება. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ამ მიმართულებით გამორჩეულად აქტიურად მოღვაწეობს. სკოლაში 44 სსსმ მოსწავლეა, 6 სპეცმასწავლებელი და 10 ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები. სკოლას შექმნილი აქვს ინკლუზიური განათლების კათედრა. კათედრის წევრები კოორდინირებულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მუშაობენ, სკოლა მხარს უჭერს კათედრას. სკოლაში მოწყობილია სამი რესურსოთახი, რომლებიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სსსმ მოსწავლის წინსვლასა დაგანვითარება ემსახურება ინკლუზიური განათლების წარმართვის მონიტორინგიც, რომლის შედეგებს სკოლა გაითვალისწინებს მომავალი წლის დაგეგმვისას. სკოლამ წარმოადგინა გასული წლის ინკლუზიური განათლების მონიტორინგის დასკვნა, რომელიც მისი შედგენიდან დადგენილ ვადაში გადაეგზავნა სამინისტროს. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი საბავშვო ბაღის პერიოდიდან ინტერესდებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებით და მათთვის კომფორტული სასწავლო გარემოს შესაქმნელად ხშირად ესაუბრებიან მათ აღმზრდელებს და თითოეულ მოსწავლეზე ქმნიან პორტფოლიოს, რაც შემდეგ ძალიან ეხმარება მათთან მუშაობის დროს. ხშირად ხვდებიან მოსწავლეთა მშობლებს და ერთად გეგმავენ სხვადასხვა ღონისძიებებს მოსწავლეთა მხარდასაჭერად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის დასკვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფები, მშობლებთან დადებულია მომსახურეობის ხელშეკრულებები, ხოლო მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულება. სკოლაში იჯარით გაცემულ ფართში ფუნქციონირებს მხატვრული ტანვარჯიში და ბუფეტი. სკოლას მოპოვებული აქვს შესაბამისი ნებართვები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან. ბუფეტის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი ჯერ არ შეუმოწმებია სურსათის უვნებლობის სამსახურს. მათ განემარტათ, რომ ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ე.წ. HACCP ის სისტემის მოთხოვნებს და შემოწმების შემთხვევასი დაექვემდებარებოდნენ დაჯარიმებას. „სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციების დამტკიცების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის N410 ბრძანების სესაბამისად სკოლას გამოყოფილი ჰყავს თანამშრომელი „სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი“ (დირექტორის 2017 წლის 6 ოქტომბრის N2-649 ბრძანება). **სკოლას მიეცა რჩევა, რომ მოსთხოვოს ბუფეტის მეპატრონეს უზრუნველყოს უსაფრთხო კვების ე.წ. HACCP ის სისტემის დაკმაყოფილება.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული

2. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით ნებაყოფლობით, საგანმანათლებლო მომსახურებას. მათემატიკის, ინგლისურის, მუსიკის სპორტის -ხელბურთი, ქართულის უფასო წრეების სახით; გარდა ამისა სკოლაში ფუნქციონირებს ფასიანი ქართული ცეკვის წრე - „აისი“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ მოსწავლეთათვის შეტავაზებული დამატებითი მომსახურეობები ხორციელდება უსაფრთო გარემოში და დაცულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები.

ინდიკატორი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის იჯარის გაცემის დოკუმენტაცია;
- ხელშეკრულება გახანგრძლივებულის მასწავლებელტან;
- ხელშეკრულება მშობლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - დაწყებითი საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ შეესაბამება ☑ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☑ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, კურიკულუმის ჩარჩოების თითოეული სვეტის მიხედვით გაწერილია ახალი სასწავლო წლის შინაარსობრივი ნაწილი შესაბამისი თემატური ერთეულები, კომპლექსური დავალებები და სასწავლო რესურსები. სკოლის მიერ წარმოდგენილ „ქეისებში“ აღწერილია კურიკულუმზე მუშაობის ყველა საფეხური.

პედაგოგები გასაუბრებისას აანალიზებდნენ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავების სტრუქტურასა და პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით. ისინი აცნობიერებენ, რომ ამ პროცესში უნდა გამოიყენონ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც მათ მთელი სასწავლო წლის მანძილზე დაუგროვდათ და ერთობლივად განსაზღვრონ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია. მოსწავლეებთან და სწავლის დაწყებამდე - მშობლებთან პირისპირ შეხვედრის დროს ცდილობენ გაარკვიონ მათი ინტერესები და სურვილები და ეს ინტერესები შეძლებისდაგვარად ასახონ კიდეც კურიკულუმში. *სკ*ოლის პედსაბჭოს 2023 **წლის 5 ივლისის № 8 ოქმში** ერთ - ერთ საკითხად განხილულია კურიკულუმის მეთოდოლოგიის განხილვა - დამტკიცება. ასევე, სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის 11 ოქმით დამტკიცებულ „სასკოლო სასწავლო გეგმაში“ ინტეგრირებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლის მიერ მოწოდებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შინაარსი ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დოკუმენტაციის თანახმად, სასწავლო გეგმის დაგეგმვისას სკოლა მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით არჩევენ კომპლექსურ დავალებებს. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მრავალფეროვანია და საშუალებას აძლევთ მოარგონ სხვადასხვა ინტერესის მქონე მოსწავლეებს, რაც ზრდის ბავშვების ჩართულობას. პედაგოგები სხვადასხვა კლასებში დეტალურად აანალიზებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, აკვირდებიან მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს, მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობლებთან და ამ ფაქტორების გათვალისწინებით ახდენენ დავალებათა დაგეგმვასა და მოდიფიცირებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ წარდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია კურიკულუმის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ, განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები. კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს. კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა, პედაგოგები მოტივირებულნი არიან სკოლის ადმინისტრაციასთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად ჩაერთონ საგნობრივი და ზოგადად სასკოლო კურიკულუმის შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროცესში. სურვილი აქვთ ამ პროცესში ჩართონ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. შექმნილია მშობელთა კლუბი, კათედრა იყენებს forms-ის კითხვარებს, როგორც მექანიზმს, რომლის საშუალებით მოხდება სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების, ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვლევა, მათი კურიკულუმის განვითარების ციკლურ პროცესში ჩართვის მიზნით. ამგვარი მიდგომა კურიკულუმის შემუშავებისას ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების როლისა და ფუნქციის გააზრებას. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებული ჩარჩოების, სასკოლო სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის“, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

4. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. სასკოლო გეგმა, შინაგანაწესი და სხვა აქტივობების განხორციელების გეგმა განთავსებულია თვალსაჩინოდ სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე/საკლასო ოთახებში. კურიკულუმის მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ პროცესში აქტიურად უნდა იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობლებთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

სასკოლო საზოგადებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი გაზიარებული აქვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს. მასწავლებლები კათედრის სხდომებზე აქტიურად განიხილავენ, უზიარებენ ერთმანეთს შედეგებს. აანალიზებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს და ისე გეგმავენ სამომავლო ნაბიჯებს. ჩატარებული სასკოლო ფესტივალების დროს ჩართულია სასკოლო საზოგადოებაც და აქტიურად იღებენ მონაწილეობას ორგანიზებასა და განხორციელებაში. მშობლეს წლის განმავლობაში ჩატარებულ მშობელთა კრებებზე აცნობენ საგნის კურიკულუმს, ასევე ამ მიზნით იყენებენ სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებს. დოკუმენტაციის შესწავლის, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია..***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის 11 ოქმით დამტკიცებულ „სასკოლო სასწავლო გეგმა“ (კურიკულუმის მეთოდოლოგია);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 5 ივლისის №8 ოქმი;
- დანართი „ქეისები“;
- მასწავლებლებთან გასაუბრებები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმების შინაარსის თანახმად, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრა ითვალისწინებს წინა წლების შედეგების ანალიზს, შემუშავებულ რეკომენდაციებს და პრობლემების გადაჭრის გზებს. თემატური ბლოკის ფარგლებში შერჩეული თემები, საკითხები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად, ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. შერჩეული კომპლექსური დავალებები არის თემის და კლასის, მოსწავლის ასაკის შესაბამისად შერჩეული. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა დაეხმარება მასწავლებლებს სწავლების პროცესი ისე წარმართოს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. კურიკულუმის კომპლექსური დავალებები მოიცავს, ახალი თაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. აღნიშნული კომპლექსური დავალებები დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობების მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს.

მაგ: უცხოური ენების პროექტული შინაარსის ისეთი დავალებების საშუალებით, როგორიცაა, მაგალითად, მეორე/მესამე კლასში ინგლისურ ენაში წარმოდგენილი დავალებები, პრეზენტაციები თემებზე: „სასკოლო ნივთები“, „ჩემი ოჯახი“, „მხიარული უქმეები ზოოპარკში“, „ჩემი საყვარელი სეზონი“ და ა.შ. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ინტერესებსა და შეხედულებებს, იყენებენ წამახალისებელ აქტივობებს, რათა მოსწავლეთა ჩართულობა გაიზარდოს საგაკვეთილო პროცესში. დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში შერჩეული კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (ცნება, კონტექტს-მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვით, კარგად არის შერჩეული ქვეცნებები და საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის უნარების განვითარებაზე. კომპლექსური დავალებები შეესაბამება შერჩეულ ასაკობრივ კატეგორიას, რაც გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობა. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებზე, მოიაზრებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებას. კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები შექმნილია საგნის სტანდარტის მიხედვით, გათვალისწინებულია მიმართულებები და თემები. შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რამდენიმე კურიკულუმში სტანდარტან მიმართებები დარღვეული იყო (მაგ. თემატური ბლოკის ფარგლებში არ მუშავდებოდა ყველა სამიზნე ცნება, ზოგიერთ შემთხვევაში საკითხი/კონტექსტ-მაგალითი არ შეესაბამებოდა თემას/დავალების იდეას)), ინტერვიუს პროცესში გაირკვა რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. კათედრამ გადმოაგზავნა ახალი კურიკულუმები, რომელიც შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა ყველა კლასში არაა გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეა, მოცემულია კონტექსტ მაგალითები, მასწავლებლები თემატური ბლოკის, თემის/საკითხის/კონტექტს-მაგალითის გათვალისწინებით მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს. მსგავსი ტიპის დავალებებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსის თანახმად, საგნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. სკოლას მტკიცებულებების სახლით წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური კათედრის ოქმი, სადაც წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, ამ პროცესში ჩარჩულია საასკოლო საზოგადოება. 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ინკლუზიური განათლების სწავლების ამოცანები და შინაარსი. მასწავლებლებმა ინტერვიუზე იმსჯელეს კონკრეტული სამიზნე ცნებების, აქტივობების სასწავლო მიზნების შესაბამისად როგორ ახდენენ სასწავლო პროცესის დიფერენცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა რეფლექსიებზე მათი სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. კათედრის წევრებმა იციან, რომ ეს საგანმანათლებლო პრინციპი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და აკადემიური ცოდნის დონის ამაღლებაში. მასწავლებლები შეეცდებიან დავალების აქტივობები მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებას, რათა მათთვის უფრო ადვილი გახდეს საკუთარი სწავლის პროცესის სოციო-ემოციურად მართვა. მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიდგომები. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, მაგ: სპორტში მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. აღნიშნული გათვალისწინებულია კომპლექსურ დავალებებში.

უცხო ენის კათედრის დოკუმენტაციაში არ ჩანს, როგორ ახდენენ უშუალოდ კომპლექსური დავალებების დიფერენცირებას, თუმცა გასაუბრებისას ზეპირად იქნა განხილული დავალების დიფერენცირების გზები. ასევე ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უცხოური ენის მასწავლებლები შეისწავლიან მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს, შესაძლებლობებს და ყოველივე ამის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს, იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლას აქვთ მზაობა, გაითვალისწინოს დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები სასწავლო პროცესში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები (სკოლას არჩეული აქვს შეფასების მეორე მოდელი). დანართის სახით წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები: კომპლექსური დავალების შეფასება, კომპლექსური დავალების რეფლექსია, მოსწავლეთა თვითშეფასება და სხვა, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესის შესაფასებლად. დაწყებითი საფეხურის კათედრა კომპლექსური დავალების შესაფასებლად იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (მაგ. გასასვლელი ბარათები, აქტივობა „შავი ლაქა“, „ჭეშმარიტია, მცდარია“, „3-2-1“ ,,თვითშეფასების ხე'' და სხვა). მომავალ სასწავლო წელს კურიკულუმში შეიტანენ და განახორციელებენ უფრო მეტ მოდიფიცირებულ კომპლექსურ დავალებას.

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული), რათა მოსწავლეებმა მიიღონ ისეთი სტატიკური ხასიათის ცოდნა, რაც მოიაზრებს ფაქტების, თეორიებისა და წესების შეწავლასა და სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნის რეალიზების საშუალებას. კურიკულუმში მრავლადაა ისეთი დავალებები სადაც მოსწავლეებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა მიღებული ცოდნის საფუძველზე. მაგალითად შექმნან პოსტერი, ბუკლეტი, რობოტი, თამაშის ალგორითმი, ანიმაცია და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასწავლებლებმა ისაუბრეს ზოგად რუბრიკებს როგორ გარდაქმნიან სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით. ასევე იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის. მასწავლებლებმა ისაუბრეს კონკრეტულ მაგალითებზე, სადაც თავად მოსწავლეც აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ნამუშევრებს/ცოდნას. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ კიდევ უფრო მრავალფეროვან წყაროებს გამოიყენებენ რათა სასწავლო პროცესი უფრო სიღმისეულად შეისწავლონ, გამოიკვლიონ კურიკულუმების ძლიერი და სუსტი მხარეები. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია***

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 5 ივლისის N8 ოქმის, სასკოლო სასწავლო გეგმის, გასაუბრების თანახმად, დაწყებით საფეხურზე ხორციელდება მიმდინარე სასწავლო პროცესის ანალიზი, მსჯელობენ მშობელთა ჩართულობის სტრატეგიებზე. შეფასების ინსტრუმენტებზე, კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებზე, შედეგებზე - რამ იმუშავა კარგად, რისი გამოსწორებაა უპრიანი და რა გზით უნდა მოხერხდეს პრობლემის გადაჭრა.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ კომპლექსური დავალებების მიხედვით ბავშვების შედეგებს, მათ ჩართულობას, დავალების შესრულების ხარისხს. აფასებენ სხვადასხვა აქტივობების შესაბამისობას ასაკთან და მათ შესაძლებლობებთან და ახალი კურიკულუმების შემუშავება ხდება ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით. დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადობასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა გამოცდილების ანალიზისას მიღებულ შედეგებსა და მონაცემებს გამოიყენებს და საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით ასახავს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი;
- სასკოლო გეგმის დანართები 2023-2024;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ინკლუზიური განათლების კათედრის ოქმი N1 2023-2024;
- პედსაბჭო - ინდგეგმა;
- სამეურვეო - ინდგეგმა;
- ნიმუში განმავითარებელი შეფასება;
- პედსაბჭოს 2023 წლის 5 ივლისის ოქმი N8;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- სოციალური ქსელი;
- საგნობრივი კურიკულუმები; დანართი N6; დანართი N 9; დანართი N11; დანართი N12; დანართი N13; დანართი N14; დანართი N15; დანართი N16; დანართი N17; დანართი N18; დანართი N19; დანართი N2
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.
მტკიცებულებების სახით წარმოდგემილია სხვადასხვა სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმეტაცია (მაგ. კუტურული მემკვიდრეობა, განძის მაძიებლები, ნახატების კონკურსი სახელწოდებით „გვაქვს უთვალავი ფერითა...“,,ჩემი კულტურა ჩემი სიმდიდრეა“და სხვ.) სადაც ჩანს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტებში, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში, რაც ნათლად ადასტურების მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების დახვეწასა და განვითარებაზე. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს და მომავალ სასწავლო წელს მეტად გაღრმავდება/გაფართოვდება ძალისხმევა კომპლექსური ბუნების დავალებებზე, თანამშრომლობით სწავლაზე, მოსწავლის ინიციატივების წახალისებაზე. 2023 წლის სექტემბერში სკოლაში აღინიშნა ევროპული ენების კვირეული, რომელშც მონაწილეობა მიიღო ყველა საფეხურის მოსწავლემ. კვირეულის ფარგლებში განხორციელდა მრავალი აქტივობა, კერძოდ, მოეწყო პრეზენტაციები, დამზადდა ბუკლეტები ქართულ და ინგლისურ ენებზე და გავრცელდა სკოლის თემში, შეიქმნა პოსტერები, კედლის გაზეთები ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე, დამზადდა ევროპის ქვეყნების დროშები და გამოიფინა სკოლის დერეფნებში და კიბეებზე, სკოლის ფოიეში გაიმართა მუსიკალური ღონისძიება - “აღიქვი ჟღერადობა - გამოიცანი ენა”, ჩატარდა ვიქტორინები: ‘’ევროპა’’, „გამოიცანი ევროპული ქვეყნის დროშა’’, “გამოიცანი რომელი ქვეყნის დროშა/ გამოიცანი ეროვნული სამოსი’’ და ა.შ. მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით საჭიროებისამებრ ხდება დავალების პირობის გადახედვა და მოდიფიცირება. მაგ. ქართულ ენასა და ლიტერატურაში მე-4 კლასში განხორციელდა კომპლექსური დავალება თემაზე: რევაზ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინანიშვილის მოთხრობის“განთავისუფლება“ მიხედვით სიუჟეტის გაგრძელება - ბაბუის სახლში დაბრუნების ამბავი. სამიზნე ცნება იყო ტექსტი, მხატვრული ჟანრი, მოთხრობა. მოსწავლეებმა საბოლოო პროდუქტი წარმოადგინეს მოთხრობის სიუჟეტის გაგრძელება. მოსწავლეთა ნამუშევრები შეფასდა სოლოტაქსონომიის დონეების მიხედვით. კომპლექსური დავალებების ანალიზისთვის სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. ***დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ* ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციის შინაარსის თანახმად, სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაცაა შექმნილია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. ასევე, წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებების ბარათებში კარგად ჩანს, რომ დავალების პირობები შექმნილია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები შემუშავებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ახალი დავალებების შესრულებისთვის აუცილებელია ძველის ცოდნაც, რაც განამტკიცებს წინარე ცოდნას და უზრუნველყოფს ახლის ათვისებას.

პედაგოგები მართებულად იაზრებენ, სასწავლო პროცესში სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისათვის, ახალი ცოდნის შესაძენად - ამ საგანმანათლებლო პრინციპის როლსა და მნიშვნელობას. ქართულ ენასა და ლიტერატურაში I-IV კლასში სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარდა დიაგნოსტიკური შეფასება იმ მიზნით, რომ პედაგოგებს გაეგოთ როგორი იყო მზაობა ახალი სასწავლო წლისთვის, ამგვარმა მიდგომამ პედაგოგებს საშუალება მისცა სწორად დაეგეგმათ საგაკვეთილო პროცესები წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ასეთი მეთოდიკური მიდგომის დასანერგად ხორციელდება გარკვეული აქტივობები: შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, 3,2,1, ჭეშმარიტია-მცდარია, ნაცნობით უცნობის ახსნა, დავალებების მიცემისას აკვირდებიან აქტიურად იყენებენ ბავშვთა აქტიური და უახლოესი განვითარების ზონებს. დაწყებითი კლასების კათედრა გეგმავს მრავალფეროვანი კონტექსტ მაგალითების შერჩევას და გამოყენებას სასწავლო პროცესში. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს, რომ კურიკულუმებში შეიტანეს ის კომპლექსური დავალებები და დასამუშავებელი საკითხები რამაც წინა წლის გამოცდიელებით მოსწავლეების დაინტერესება და ჩართულობა გამოიწვია. ამასთან აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის კონტრუირებას წინარე ცოდის გააქტიურებით ახდენენ. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებელი ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნება. დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნების ჩარჩო კურიკულუმებში შალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპექსური ტიპის დავალებები (ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგემილია საკითხი/კონტექტს-მაგალითი, მასწავლებლები დავალების პროდუქტს შეარჩევენ მოსწავლეთა ინტერესებზე დაყრდნობით) რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, კომპლექსური დავალებების კონტექტს მაგალითები ხელს უწყობს მოსწავლეებში ნებელობის გაძილერებასა და მათ დაინტერესებას. მოსწავლეს საშუალება ეძლევა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი ისეთ აქტივობებიში რომელიც გულისხმობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას (მაგ. „განძის მაძიებლები“, ვიქტორინის /ღონისძიებების კვირეული) სასკოლო პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და ინტერვიუ ცხადყოფს, რომ მათ გააზრებული აქვთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. პედაგოგების მიხედვით, მოსწავლეები ეჩვევიან სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების, წერა, კითხვა, ლაპარაკის, მოსმენის სტრატეგიებს. მოსწავლეები მსჯელობენ კომპლექსური დავალებების მათ მიერ განხორციელების გზების შესახებ. მომავალი სასწავლო წლიდან დაწყებითი საფეხური გეგმავს აქტიურ მუშაობას, რათა მოსწავლეებმა უკეთ შეძლონ: დაგეგმვის ციკლის გააზრება, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა, რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გაზიარება, თვითრეგულაციის სწავლა. ინტერვიუს დროს მასწავლებელებმა აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. რესურსებად გამოყენებულია ვიდეო ტუტორიალები, ელექტრორესურსები სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ დავალებებზე, რაც მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, ალგორითმის შექმნასა და მოსაზრებების შეჯერებას, საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში, სხვა საგნობრივ დისციპლინაში ცოდნის ტრანსფერის გამოყენების საშუალებას აძლევს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. კურიკულუმის მეთოდოლოგიის თანახმად გაწერილია, რომ სასწავლო პროცესი ითვალსწინებს ცოდნის სამი პირობის მიხედვით საკითის გაგება-გააზრებას, რის მიხედვით სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის ჩარჩოები, ხოლო წინა წელს კი განხორციელებული აქვს კომპლექსური დავალებები, რომლის დამუშავების პროცესი ცოდნის კონსტრუირების მიხედვით განხორციელდა, რის მიხედვით წარმოგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები და პროექტების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები. წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მტკიცებულებების სახით წარმოდგემილ დოკუმეტაციაში (სხვადასხვა პროექტები, ღონისძიებები, ინტელექტუალური თამაშები) ნათლად იკვეთება მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც მოიცავს როგორც დეკლარატიული, ასევე პირობისეული და პროცედურული ცოდნას, აღნიშნული მსჯელობა დაადასტურეს მასწავლებლებმა ინტერვიუზე საწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივოებებსა და სასწავლო მეთოდებზე მსჯელობისას. კურიკულუმში მრავლადაა ისეთი დავალებები სადაც მოსწავლეებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა მიღებული ცოდნის საფუძველზე. მაგალითად შექმნან პოსტერი, ბუკლეტი, რობოტი, თამაშის ალგორითმი, ანიმაცია და ა.შ. უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის კომპლექსური ტიპის დავალებები, როგორიცაა მაგალითად, ფილმის მიმოხილვა თემაზე „ჩემი საყვარელი ქართული ფილმი“, ბიოგრაფიული პოსტერის პრეზენტაცია წარსულში მოღვაწე ქართველი ან უცხოელი გამოჩენილი პიროვნების შესახებ’ (მეექვსე კლასი, ინგლისური ენა), ნამდვილად აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება, ფუნქციურ კონტექსტში გამოიყენონ ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებები, შეძლონ ცოდნის ტრანსფერი მათთვის ავთენტურ გარემოში. ამ ეტაპზე ამ ტიპის დავალებების რაოდენობა კურიკულუმის ჩარჩოებში ერთ ან ორია, თუმცა, როგორც პედაგოგებმა განაცხადეს, წინა წელს სასწავლო პროცესი იყო სვლა კომპლექსურიდან კომპლექსურამდე და გეგმავენ, პროექტული ტიპის დავალებებით მეტად გაამდიდრონ სასწავლო პროცესი. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბების საფუძველზე დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული), შესაბამისად **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასურველია დაწყებით საფეხურზე უცხოური ენების ყველა თემაში, ყველა სამიზნე ცნებაზე დაიგეგმოს და კურიკულუმში აისახოს კომპლექსური ბუნების დავალებები.

5. წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრა აქტიურად გეგმავს და ახორციელებს არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვანს აქტივობებს (მაგ. გაკვეთილები მუზეუმებში/თეატრში, ნახატების კონკურსი სახელწოდებით„ გვაქვს უთვალავი ფერითა...“). წარმოდგემილი დოკუმეტაციიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში სკოლა ზრუნავს მოსწავლეებში სხვადასხვა საგნებში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ატარებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს. წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები ის ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ის უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. პედაგოგების მიერ წარმოდეგნილი მიმდინარე წლის კურკულუმის ნიმუშების, კომპლექსური დავალებების მიხედვით მოსწავლეთა შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტისა და სასწავლო პროექტების მიხედვით მოსწავლეების ახდენენ ცოდნათა ურთიერდაკავშირებას.

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ ცალცაკე ნასწავლი სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების გამოყენება უშუალოდ თამაშის დროს. მათი ცოდნის ორგანიზებით და ურთიერთდაკავშირებით ვიღებთ სრულყოფილად შესრულებლ დავალებას ასაკთან შესაბამისად.

პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების - თემის, საგნობრივი საკითხების, ცნებებისა და დავალების პირობის ურთიერთკავშირი საშუალებას აძლევთ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებასა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას სასწავლო პროცესში. კათედრა გამოიყენებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოებს სასწავლო პროცესის გასაანალიზებლად.

მასწავლებელმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. ხდება ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, მოსწავლეები მიღებულ ცოდნის ტრანსფერს ახდენს სხვადასხვა საგნობრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დისციპლინებში, ისინი აქტიურად არიან ჩართული პროექტული ტიპის სწავლებაში, რის დასტურადაც შეიძლება მივიჩნიოთ მასწავლებლის მიერ საგან კომპიურეტულ ტექნოლოგიებში განხორციელებული ისეთი პროექტი როგორიცაა "ციფრული მოქალაქე (ჩოხა)". წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ევროპული ენების კვირეულის რეფლექსია, ფოტო-ვიდეო მასალები (ფეისბუქ ბმულების სახით);
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- 2-607 უფასო საგნობრივი წრე და კლუბის შექმნა;
- დანართი N3-წიგნი გურია;
- დანართი N40;
- დანართი N28 - N108 საჯარო სკოლის პროექტი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- რეფლექსია - ,,ჩემი კულტურა ჩემი სიმდიდრეა“ ხელ.მასწ.რეფლექსია;
- საგნობრივი კურიკულუმი; დანართი N26; დანართი N27; დანართი N28. დანართი N43.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში (გარდა საბუნებისმეტყველოსი) სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. შემუშავებული კომპლექსური ბუნების დავალებები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული მიდგომების გათვალისწინებით. შუალედური სასწავლო მიზნები ამუშავებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, შეფასების რუბრიკებში გამოკვეთილია კავშირი სამიზნე ცნებების, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების და საკვანძო შეკითხვებს შორის.

მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით საჭიროებისამებრ ხდება დავალების პირობის გადახედვა და მოდიფიცირება. მაგ. ქართულ ენასა და ლიტერატურაში მე-4 კლასში განხორციელდა კომპლექსური დავალება თემაზე: რევაზ ინანიშვილის მოთხრობის“განთავისუფლება“ მიხედვით სიუჟეტის გაგრძელებ ა- ბაბუის სახლში დაბრუნების ამბავი. სამიზნე ცნება იყო ტექსტი, მხატვრული ჟანრი, მოთხრობა. მოსწავლეებმა საბოლოო პროდუქტი წარმოადგინეს მოთხრობის სიუჟეტის გაგრძელება. მოსწავლეთა ნამუშევრები შეფასდა სოლოტაქსონომიის დონეების მიხედვით. კომპლექსური დავალებების ანალიზისთვის სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები), რომელშიც **ნაწილობრივ გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის მთელი რიგი უზუსტობები, რომლებიც აუცილებლად უნდა გასწორდეს, კერძოდ,**

ბუნებისმეტყველების I კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

I თემის (სახლი და სკოლა, როგორც გარემო) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სხეული“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე.

II თემის (ადამიანი) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნებები „სხეული“ და „მოვლენა“ შესაბამისი ქვეცნებებიის გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“ შსაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მესამე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „გარემოს დაცვა“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე.

ბუნებისმეტყველების II კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ხმელეთი, როგორც გარემო) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სხეული“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „მოვლენა“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მესამე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეოთხე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „ორგანიზმი, საარსებო გარემო“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეხუთე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „გარემოს დაცვა“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე.

II თემის (წყალი, როგორც გარემო) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სხეული“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეოთხე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „შეავსე ცხრილი, რომელშიც უპასუხებ კითხვებს (რა ეხმარება ფრინველებს ფრენაში? რატომ აქვთ ფრინველებს წაგრძელებული ტანი? სად აქვთ ფრინველებს სახლი?) და ამით დაეხმარები შენს თანატოლებს ფრინველების შესახებ ცოდნის გაღრმავებაში.“ და ძირითადი კონტექსტ - მაგალითი „შეავსე ცხრილი, რომელშიც უპასუხებ კითხვებს (რა ეხმარება ფრინველებს ფრენაში? რატომ აქვთ ფრინველებს წაგრძელებული ტანი? სად აქვთ ფრინველებს სახლი?) და ამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაეხმარები შენს თანატოლებს ფრინველების შესახებ ცოდნის გაღრმავებაში“. კომპლექსური დავალების იდეა და ძირითადი კონტექსტ - მაგალითი არის ერთი და იგივე, იდენტური და გაუგებარია, რატომ? ძირითადი კონტექსტ - მაგალითი დასაკორექტირებელია. მეხუთე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „გარემოს დაცვა“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეექსვე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. გარეშე.

III თემის (ჰაერი, როგორც გარემო) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სხეული“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „ორგანიზმი, საარსებო გარემო“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მესამე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეოთხე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „მოვლენა“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეხუთე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „გარემოს დაცვა“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე.

ბუნებისმეტყველების III კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ჩემი ქვეყნის ბუნება) მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „მოვლენა“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მესამე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „ორგანიზმი, საარსებო გარემო“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან არ არის მითითებული სასწავლო რესურსი. მეოთხე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „გარემოს დაცვა“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან არ არის მითითებული სასწავლო რესურსი.

II თემის (მზის სისტემა) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სხეული“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე.

მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „მოგზაურობა კოსმოსური ხომალდით და მზის სისტემის მოდელის შექმნა-პრეზენტაცია“, რომელიც ასევე გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ მზის სისტემის მოდელის შექმნა - პრეზენტაცია, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი. მეოთხე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „მოვლენა“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეხუთე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან არ არის მითითებული სასწავლო რესურსი.

ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (დედამიწა) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეოთხე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სხეული“ შსაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეხუთე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „ორგანიზმი, საარსებო გარემო“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან მითითებულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეექვსე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან არ არის მითითებული სასწავლო რესურსი.

II თემის (ციკლური პროცესები ბუნებაში) პირველ ძირითად საკითხთან საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „პოსტერის შექმნა და პრეზენტაცია“, რომელიც ასევე გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ პოსტერის შექმნა და პრეზენტაცია, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი. მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე. მესამე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „ორგანიზმი, საარსებო გარემო“ შესაბამისი ქვეცნების გარეშე,

ბუნებისმეტყველების V კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (კოსმოსი) მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სასწავლო რესურსი „მასწავლებლის მიერ მოძიებული მოძიებული საინფორმაციო ტექსტი“- ელექტრონული მისამართის გარეშე.

II თემის (ეკოსისტემები) მეორე ძირითად საკითხთან არ არის მითითებული სასწავლო რესურსი. კურიკულუმის ჩარჩოში თემა არის მითითებული არასწორად, წერია ეკოსისტემა და უნდა ეწეროს ეკოსისტემები (სტანდარტის მიხედვით).

III თემის (მოვლენები ჩვენს გარშემო) პირველ და მეორე ძირითად საკითხთან არ არის მითითებული სასწავლო რესურსი.

ბუნებისმეტყველების VI კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ენერგია და მისი გარდაქმნა) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სასწავლო რესურსი „ საინფორმაციო ტექსტი“- ელექტრონული მისამართის გარეშე.

II თემის (ნარევები და მათი დაყოფის გზები) პირველი ძირითადი საკითხია „ნარევები და მათი დაყოფის გზები“, გაუგებარია, შესასწავლი თემის სათაური და ძირითადი საკითხი ერთმანეთის იდნტური რატომ არის.

III თემის (ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა) ფარგლებში არ მუშავდება ხუთივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება - სხეული დამუშავების მიღმა არის დარჩენილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის გზით გადმოგზავნილია მხოლოდ კომპლექსური დავალებები, რომლის მიხედვითაც იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს (V - VI კლასები). სკოლამ არ/ვერ გადმოაგზავნა (ადგილზე ვიზიტის დროსაც ვერ წარმოადგინა) ის კომპლექსური დავალებები, რომლის მიხედვითავ იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს I – IV კლასებში (თუნდაც მხოლოდ ერთი).

ბუნებისმეტყველების V კლასში მოწოდებული კომპლექსური დავალება კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში არ არის გაწერილი, ამავე დროს აღნიშნული კოპლექსური დავალების პირობა გაწერილია შეფასების კრტიტერიუმის(ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ) გარეშე.

ბუნებისმეტყველების VI კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში „ ენერგია და მისი გარდაქმნა“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება მხოლოდ ერთი სამიზნე ცნების - მოვლენა, პროცესი მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია ხუთივე სამიზნე ცნება - სხეული; მოვლენა, პროცესი; ორგანიზმი, საარსებო გარემო; გეოგრაფიული ობიექტი და გარემოს დაცვა), ამავდროულად აღნიშნული კომპლექსური დავალების შეფასების მესამე კრიტერიუმში არ არის მითითებული ის სამიზნე ცნება თავისი მკვიდრი წარმოდგენით, რომლის დამუშავებისკენაც მიემართება იგი.

ხარვეზი: *სკოლას არ აქვს დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები გაწერილი გრძელვადინი მიზნების შესაბამისად, კერძოდ, სამიზნე ცნებასთან არ არის განსაზღვრული შესაბამისი კერძო ქვცენება, სასწავლო თემაში გამოყოფილ თითოელ ძირითად საკითხს არ აქვს მითითებული შესაბამისი სასწავლო რესურსი, სასწავლო რესურსებში მოცემულ გრიფირებულ სახელმძღვანელოს კი - გვერდი, სასწავლო რესურსში მითითებულ სხვა რესურსებს - შესაბამისი ელექტრონული მისამართი, შესასწავლი თემის სათაური და ძირითადი საკითხი ერთმანეთის იდნტური არ უნდა იყოს. კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმში განსაზღვრული სამიზნე ცნებები და კურიკულუმის ჩარჩო - ცხრლებში მითითებული სამიზნე ცნებები (ერთი და იგივე კონტესქსტ - მაგალითის შემხვევაში) არ არის იდენტური. კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გაწერილ კომპლექსური დავალების იდეაში არ იკითხება აზრი და არ არის გასაგები. კომპლექსური დავალების იდეა და და ძირითადი კონტექსტ - მაგალითი არ შეიძლება იყოს ერთმანეთის იდენტური.*
არ არის გაწერილი ბუნებისმეტყველების I – IV კლასის კომპლექსური დავალებები (თუნდაც ერთი).

<u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს დაწესებულების დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მასწავლებლების მიერ ჩასწორებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები. კურიკულუმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხარვეზი გამოსწორებული, თუმცა სკოლას მიეცა რჩევა და რეკომენდაცია, კერძოდ:</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ბუნებისმეტყველების I კლასის კურიკულუმის ჩარჩო:
I თემის (სახლი და სკოლა, როგორც გარემო) მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „გზის მაკეტი“, რომელშიც უმჯობესია გაწერილი იყოს, თუ რატომ მოეთხოვება მოსწავლეს გზის მაკეტის შექმნა. მესამე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „სახლისა და სკოლის ნივთების ცხრილის შექმნა“, რომელშიც უმჯობესია გაწერილი იყოს, თუ რატომ მოეთხოვება მოსწავლეს სახლისა და სკოლის ნივთების ცხრილის შექმნა. მეოთხე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „დაკვირვების ცხრილის შექმნა“, რომელშიც უმჯობესია გაწერილი იყოს, თუ რატომ მოეთხოვება მოსწავლეს დაკვირვების ცხრილის შექმნა.

ბუნებისმეტყველების II კლასის კურიკულუმის ჩარჩო:
I თემის (ხმელეთი, როგორც გარემო) მესამე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „მცენარის ან ცხოველის მოდელის შექმნა (პროგრანმა ვსწავლობთ თამაშის გამოყენებით)“, რომელშიც უმჯობესია გაწერილი იყოს, თუ რატომ მოეთხოვება მოსწავლეს მცენარის ან ცხოველის მოდელის შექმნა (პროგრამა ვსწავლობთ თამაშის გამოყენებით). მეოთხე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „შეავსე ცხრილი, რომელშიც უპასუხებ კითხვებს (რა ეხმარება ფრინველებს ფრენაში? რატომ აქვთ ფრინველებს წაგრძელებული ტანი? სად აქვთ ფრინველებს სახლი?) და ამით დაეხმარები შენს თანატოლებს ფრინველების შესახებ ცოდნის გაღრმავებაში.“ და ძირითადი კონტექსტ - მაგალითი „შეავსე ცხრილი, რომელშიც უპასუხებ კითხვებს (რა ეხმარება ფრინველებს ფრენაში? რატომ აქვთ ფრინველებს წაგრძელებული ტანი? სად აქვთ ფრინველებს სახლი?) და ამით დაეხმარები შენს თანატოლებს ფრინველების შესახებ ცოდნის გაღრმავებაში“. კომპლექსური დავალების იდეა და ძირითადი კონტექსტ - მაგალითი არის ერთი და იგივე, ჩასასწორებელია.
III თემის (ჰაერი, როგორც გარემო) პირველ ძირითად საკითხთან მითიტებულია „ქეისი 3.1“, რომელშიც არ არის გაწერილი, თუ რას მოიაზრებს იგი (სავარაუდოდ გამორჩენილია). მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „ფრინველებზე დაკვირვების შედეგად ცხრილსი შექმნა და შევსება საჭირო მონაცემებით“, რომელშიც უმჯობესია გაწერილი იყოს, თუ რა მოიაზრება საჭირო მონაცემებში. მესამე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „ამინდზე დაკვირვების შედეგად დაკვირვების დღიურის შექმნა და შევსება საჭირო მონაცემებით“, რომელშიც უმჯობესია გაწერილი იყოს, თუ რა მოიაზრება საჭირო მონაცემებში.
თემის ფარგლებში არ მუშავდება ხუთივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - გარემოს დაცვა და სივრცეში ორიენტირება დამუშავების მიღმა არის დარჩენილი.

ბუნებისმეტყველების III კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

I თემის (მზის სისტემა) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „მოგზაურობა კოსმოსური ხომალდით და მზის სისტემის მოდელის შექმნა-პრეზენტაცია“, რომელშიც უმჯობესია გაწერილი იყოს, თუ რატომ მოეთხოვება მოსწავლეს მზის სისტემის მოდელის შექმნა - პრეზენტაცია.

ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩო:
II თემის (ციკლური პროცესები ბუნებაში) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „პოსტერის შექმნა და პრეზენტაცია“, რომელშიც უმჯობესია გაწერილი იყოს, თუ რატომ მოეთხოვება მოსწავლეს პოსტერის შექმნა და პრეზენტაცია. ამავე საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნებები „სივრცეში ორიენტირება“ და „ორგანიზმი, საარსებო გარემო“ შესაბამისი ქვეცნებების გარეშე.

ბუნებისმეტყველების V კლასის კურიკულუმის ჩარჩო:
I თემის (კოსმოსი) სახელწოდება კურიკულუმის ჩარჩო ცხრილში ჩასასწორებელია, წერია „მზის სისტემა“ და „დედამისის სტრუქტურა“ და უნდა ეწეროს „კოსმოსი“ (სტანდარტის მიხედვით).
II თემის (ეკოსისტემები) სახელწოდება კურიკულუმის ჩარჩო ცხრილში ჩასასწორებელია, წერია „ორგანიზმები და ეკოსისტემები“ და უნდა ეწეროს „ეკოსისტემები“ (სტანდარტის მიხედვით).
III თემის (მოვლენები ჩვენს გარშემო) პირველ ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსად მითითებულ გრიფირებულ სახელმძღვანელოს უმჯობესია ასევე განსაზღვრული ქონდეს შესაბამისი გვერდები. მეორე ძირითად საკითხთან ასევე მითითებული უნდა იყოს სასწავლო რესურსი (ალბათ გამორჩათ).

ბუნებისმეტყველების VI კლასის კურიკულუმის ჩარჩო:
III თემის (ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა) მეორე ძირითად საკითხთან ასევე მითითებული უნდა იყოს სასწავლო რესურსი.

რჩევა: სკოლას მიეცეს რჩევა, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები გაწერილი იყოს გრძევლადინი მიზნების შესაბამისად, კერძოდ, სასწავლო თემაში გამოყოფილ თითოელ ძირითად საკითხს მითითებული ქონდეს შესაბამისი სასწავლო რესურსი, სასწავლო რესურსებში მოცემულ გრიფირებულ სახელმძღვანელოს კი - გვერდი, შესასწავლი თემის სახელწოდება შეესაბამებოდეს სტანდარტით განსაზღვრულ შესასწავლი თემის სახელწოდებას, კომპლექსური დავალების იდეაში უმჯობესია გაწერილი იყოს, თუ რატომ მოეთხოვება მოსწავლეს ამა თუ იმ შემოქმედებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროდუქტის შექმნა, კომპლექსური დავალების იდეა და და ძირითადი კონტექსტ - მაგალითი არ იყოს ერთმანეთის იდენტური, სავალდებულო შესასწავლი თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სკოლას ეძლევა რეკომენდაცია:

ბუნებისმეტყველების V კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში „კოსმოსი“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება მხოლოდ სამი სამიზნე ცნების - გეოგრაფიული ობიექტი, სხეული და მდგრადი განვითარების მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია ხუთივე სამიზნე ცნება - სხეული; მოვლენა, პროცესი; ორგანიზმი, საარსებო გარემო; გეოგრაფიული ობიექტი და გარემოს დაცვა);

ბუნებისმეტყველების VI კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში „ ენერგია და მისი გარდაქმნა“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება მხოლოდ ერთი სამიზნე ცნების - მოვლენა, პროცესი მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია ხუთივე სამიზნე ცნება - სხეული; მოვლენა, პროცესი; ორგანიზმი, საარსებო გარემო; გეოგრაფიული ობიექტი და გარემოს დაცვა), ამავდროულად აღნიშნული კომპლექსური დავალების შეფასების მესამე კრიტერიუმში არ არის მითითებული ის სამიზნე ცნება თავისი მკვიდრი წარმოდგენით, რომლის დამუშავებისკენაც მიემართება იგი.

სკოლას შესაბამისობის გეგმით ასევე არ გადმოუგზავნია ბუნებისმეტყველების I – IV კლასის კომპლექსური დავალებები (თუნდაც ერთი), შესაბამისად, ვერ ხერხდება შესაბამისობის დადგენა გრძელვადიან მიზნებთან.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს, რომ კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმში განსაზღვრული სამიზნე ცნებები და კურიკულუმის ჩარჩო - ცხრლებში მითითებული სამიზნე ცნებები (ერთი და იგივე კონტესქსტ - მაგალითის შემხვევაში, ბუნებისმეტყველები V და VI კლასები) იყოს იდენტური. სკოლამ გაწეროს ბუნებისმეტყველების I – IV კლასის კომპლექსური დავალებები.

<u>**აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ძირითადი ორიენტირები, თემები და კომპლექური დავალებების იდეები გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები უმეტესად მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას, სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა, ხელოვნებაში შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა, განწყობის გადმოცემა. კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია სარეკომენდაციო თემები, რომელთა ნაწილი მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედურ მიზნებში კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ- კომპონენტური უნარების განვითარებას. კომპლექსური დავალებების თემატიკა, საკლასო და არაფორმალური აქტივობები, სასწავლო პროექტები შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების დაფიქრებას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე როგორიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ფიზიკური განვითარება, იდენტობა, თანასწორუფლებიანობა და პასუხისმგებლობა. მოსწავლეების პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიზნით დაწყებითი კლასების პედაგოგები ხშირად იყენებენ აქტივობას „როლური თამაში“, რომლის განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ სხვათა ემოციების მაქსიმალურად გათავისება და ემპათიის განცდა. კომპლექსური დავალებები შეირჩა იმდაგვარად, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო მოსწავლის ემოციური განვითარება. მაგ.; მე-4 კლასში ქართულ ენაში განხორციელდა კომპლექსური დავალება „პერსონაჟის სკამი“, ტ. ხავთავის მოთხრობის „მოხუცი და ბროლია“ მიხედვით. დავალების მიზანი იყო პერსონაჟის ემოციების, ფიქრების, გრძნობების თანაგანცდა და მისი როლის მორგება. მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას ხელი შეუწყო სასკოლო პროექტის „შეწყვიტე ბულინგი, გაუგზავნე სამყაროს ღიმილი“ ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმაც.

სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებისას აღნიშნა, კურიკულუმებს და სადამრიგებლო პროგრამებს ადგენენ იმგვარად, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო სოციალურ განვითარებას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე მორგებული თანასწორუფლებიანი გარემო. მასწავლებელმა აღნიშნეს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია კლუბი "რობოტიკა 108", რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. წარმოდგენილი შეფასების ზოგადი/კონკრეტული რუბრიკებიდან (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) ჩანს, რომ კათედრა სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის იყენებს შეფასების ორივე ფორმას და მოსწავლეებს აფასებს მრავალმხრივად. სკოლას არჩეული აქვს შეფასების მეორე მოდელი, სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურადაა წარმოდგემილი ამ მოდელის ფარგლებში მოსწავლის შეფასების ხედვა და ამოცანები. სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადსხვა შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა სხვადასხვა აქტივობების შეფასებას. ***უცხოური ენების კათედრას გააზრებული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მიმართულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე კათედრა გეგმავს შეფასების ისეთი რუბრიკების შექმნას, რომელიც მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას დაინახოს მოსწავლე პიროვნული, ფსიქო-სოციალური და აკადემიური უნარების ჭრილში.*** სკოლა ცდილობს მოსწავლეები ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით ჩართონ სასწავლო პროცესში. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას სამიზნე ცნების ფლობის დონის განსასაზღვრად. შემაჯამებელი წერების დროს მოსწავლემა წინასწარ იციან, რომელ კომპონენტში და რამდენი ქულით შეფასდებიან. თითოეული თემისათვის, შემაჯამებელი დავალებებისათვის კათედრა შეიმუშავებს და დახვეწს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეძლებისდაგვარად გააანალიზებს მოსწავლის განვითარების ყველა სფეროს (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო ემოციური). მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყელო კათედრის პედაგოგებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, მათ აქვთ შექმნილი შეფასების (განმავითარებელი შეფასების რუბრიკები I – VI და V - VI კლასებისთვის, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა VI კლასის მეორე სავალდებულო სასწავლო თემისთვის) რუბრიკები, თუმცა **არის მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც სასურველია, რომ გასწორდეს, კერძოდ,**

ბუნებისმეტყველების VI კლასის მეორე სავალდებულო სასწავლო თემის პირველი ძირითადი საკითხიის მიმართ შექმნილ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა არასრულყოფილია (არ არის გაწერილი იმ სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენის მიმართ მიმართ, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსური დავალების მიხედვით).

ბუნებისმეტყველების VI კლასის მეორე სავალდებულო სასწავლო თემის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა არ არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, აღნიშნულ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში ხდება მოსწავლის შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით: „მოსწავლე აქტიურად ესწრება საგაკვეთილო პროცესს და ჩართულია სასწავლო აქტივობებში - 2 ქულა“ და „მოსწავლე მუშაობას საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, თანამშრომლობს კლესელებთან და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასწავლებელთან“ – 2 ქულა, (დანარჩენი 6 ქულა არის გადანაწილებული რა უნდა შეძლოს მოსწავლემ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიმართ), ამავდროულად, თემის სახელწოდება არის მითითებული არასწორად, წერია - ნივთიერება და ნარევი და უნდა ეწეროს - ნარევები და მათი დაყოფის გზები (სტანდარტის მიხედვით).

რჩევა: სკოლას მიეცეს რჩევა, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაწერილი იყოს სრულყოფილად სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიმართ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში თემის სახელწოდება მითითებული იყოს სწორად (სტანდარტის შესაბამისად), ამავდროულად, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა იყოს გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, არ განხორციელდეს მოსწავლის შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით: „მოსწავლე აქტიურად ესწრება საგაკვეთილო პროცესს და ჩართულია სასწავლო აქტივობებში - 2 ქულა“ და „მოსწავლე მუშაობას საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, თანამშრომლობს კლასელებთან და მასწავლებელთან“ – 2 ქულა.

დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა. ყველა ტიპის შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე და მათი განვითარებისთვის. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

4. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს რომ შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდატრის გათვალისწინებით. მოსწავლეები ფასდებიან კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებით და მათთვის ნაცნობია შეფასების კრიტერიუმები. სკოლას არჩეული აქვს შეფასების მეორე მოდელი. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში განაცხადეს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი ურთიერთშეფასებასა და თვიშეფასებაში. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს გამოსაყენებელ რუბრიკებს, ასევე მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს. შეფასების სიხშირეს მონიტორინგს უწევს ადმინისტრაცია ელექტრონული ჟურნალის სისტემატური მონიტორინგის გზით. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმეტი, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, პრინციპები, პროცესი, პასუხისმგებელ პირი/პირები. დოკუმენტში ასახულია ვერიფიკაციის შემდეგი ამოცანები: ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან, ბ) მოსწავლის მიღწევის ანალიზი გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების ინსტრუმენტის, პროცესის და მტკიცებულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების) ვერიფიკაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა წარმართოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- სტრატეგიული გეგმა 7 წლიანი;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- პედსაბჭოს 2023 წლის 5 ივლისის ოქმი N8;
- *სსიპ ქალაქ თბილისის #108 საჯარო სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- *დანართი: საგნობრივი კურიკულუმი,დანართი N11; დანართი N27; დანართი N29; დანართი N30; დანართი N31. დანართი N43;*
- დაწყებითი საფეურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ბუნებისმეტყველება) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები (I - IV და V – VI კლასები); კომპლექსური დავალებები (V - VI კლასები), განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების (VI კლასი). რუბრიკები, გასაუბრება ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
1. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
2. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია, მიზნები და ღირებულებები, რის მიხედვით აქცენტი კეთდება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და განვითარებაზე. კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებში კარგად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. აქტივობები და დავალებები ორგანიზებულია მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორიცაა წარმატებული მოსწავლის სიტყვიერი შეფასება, მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოვება და სხვა. მოსწავლე მასწავლებლისგან მუდმივად გრძნობს მხარდაჭერას. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ჩართულნი არიან სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრაში. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და ერთმანეთის დახმარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და კულტურული თავისებურებანი. იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს თანამშრომლობით ურთიერთობებს.

გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მშობლებთან აქვთ ღია ურთიერთობები, აწარმოებენ მათთან სატელოფონო კომუნიკაციას, მიმოწერას, აცნობენ მათ შვილებთან დაკავშირებული დეტალების შესახებ. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, თავად მიიღონ მონაწილეობა ქცევის წესების შემუშავებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმეტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე მხარდამჭერით და მიმღებლობით გარემოს უზრუნვალსაყოფად შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად, ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში მაგ. დანართი N28 - N108 საჯარო სკოლის პროექტი ნათლად, ჩანს მოსწავლეთა/მშობელთა აქტიური ჩართულობა სასკოლო პრექტის ფარგლებში აქტივოებების დაგეგმვისას.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კათედრის წევრები თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, განხორციელებული პროექტები და აქტივობები ადასტურებს დაწყებით საფეხურზე არსებულ თანამშრომლობით კულტურას. მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს, ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „კრიტიკული მეგობარი". სკოლაში შექმნილია მასწავლებლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, თანამშრომლობითი კულტურის განვითარება. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ინტერესებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროსაც აქტივობებს არჩევენ ბავშვების იტერესის გათვალისწინებით. კერძოდ შეიძლება ეს იყოს დამატებითი კომპლექსური დავალების თემა, დამატებითი აქტივობა, რომელიც შეიძლება იყოს ლაშქრობა ან სხვა წამახალისებელი ღონისძიება, რომლის სურვილიც ბავშვებს ექნებათ. მასწავლებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, კოლეგებთან და დირექციასთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მექანიზმები აღწერილია, სასკოლო სასწავლო გეგმაში, დაწყებით საფეხურზე არსებობს პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატი, რომელიც გამოხატვის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს/მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლის სივრცეში თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობასა და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა გადაიჭრება თანამშრომლობითი გზით. სასკოლო პროექტების წარმატებული განხორციელება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით მიიღწევა. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის უფლება, რა ფორმით ჩაერთვებიან სასკოლო თუ სასწავლო პროექტებში, აქტივობებსა და საწრეო მუშაობაში. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მოსწავლის საჭიროებების მუდმივ მონიტორინგს დაკვირვებაზე დაფუძნებული პორტფოლიოების, რუბრიკების ან პროექტების მეშვეობით.

მასწავლებლები უზრუნველყოფენ სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით პოზიტიური კლიმატის შექმნას. რაც გამოიხატება კლასის დონეზე. დირექცია, რომელიც ჩართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფესტივალების ორგანიზებაში და ჩატარებაში ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- კითხვარი სასკოლო პროექტის მიმართულება (1-1456);
- სასკოლო პროექტის მიმართულებების კითხვარი;
- დანართი N28 - N108 საჯარო სკოლის პროექტი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის მისია, მიზანი და ღირებულებები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დაკვირვების დღიური;
- დიფერენცირების ნიმუში;
- დანართი N32; დანართი N33; დანართი N34; დანართი N35. დანართი N43;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ჩარჩო/გეგმა, სადაც სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმი შედგენილია სკოლის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელი, საგნობრივი კათედრები, დირექცია). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს წარმოდგენილი მკაფიო ხედვა, სადაც მონიტორინგს და შეფასებას განიხილავს სასწავლო პროცესის თანმდევ მექანიზმად. დეტალურად აქვს გაწერილი შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო პროცესის შეფასების ინდიკატორები და მონაცემების შეგროვების გზები.

მასწავლებლები მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებენ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების მიხედვით. მონაცემების შეგროვება და წარმოებული სტატისტიკა ეხმარებათ, გაიაზრონ რამდენად ეფექტური იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მოითხოვს თუ არა ის უფრო გართულებას, გამარტივებას თუ რაიმეს შეცვლას. ეს ყველაფერი ეფექტურს ხდის სასწავლო პროცესს. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილსაც, რაც აადვილებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

2. წარმოდგენილო დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე. აღნიშნულს ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მიზნით მექანიზმი-ბრძანება. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება. ერთად კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებს. ერთობლივად სახავენ შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიებს ეს პროცესები აისახება მოსწავლეთა შედეგებზე. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

3. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული კურიკულუმის მეთოდოლოგიის შინაარსის თანახმად, სკოლა მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობას იწყებს სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ გასული სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა შედეგების ანალიზი და თვითშეფასება, შესაბამისად, წინამდებარე გეგმა შედგენილია განვლილი წლის ანალიზის გათვალისწინებით.

მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი, რომელთაც ევალებათ მასწავლებელთა შიდა შეფასება, ყოველი სემესეტრის/სასწავლო წლის ბოლოს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების განხილვა, მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება) და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირების, სისტემატიურად ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირება სხვადასხვა საგნებში. შედეგების ანალიზის საფუძველზე გასცემენ ინდივიდუალურ უკუკავშირს. სკოლა სემესტრისა და სასწავლო წლის დასარულს ატარებს ზეპირ ან წერით გამოკითხვას, რომელიც ემსახურება სწავლ-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მიღებული შედეგების გაანალიზებით იგეგმება სამომავლო ნაბიჯები პრობლემის აღმოსაფხვრელად. სამომავლოდ დაწყებითი კლასების კათედრა გეგმავს მეთოდოლოგიაში გაწერილი მექანიზმების სრულყოფას, მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. მასზე დაყრდნობით დაიწყება დაგეგმილი სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება.

სპორტში უმნიშვნელოვანესია პრობლემების კორექტირება, რაც მონიტორინგის და შეფასების შედეგად ხდება. მასწავლებლებისთვის ეფექტურია ბავშვების შედეგების მიხედვით განსაზღვრონ რამდენად წარმატებული იყო მათი პერფომანსი. მოახდინონ პრობლემის იდენტიფიკაცია და იმუშაონ მის აღმოფხვრაზე. რადგანაც, მასწვლებლები იყენებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასების სისტემებს მათთვის არ არის ძნელი პრობლემის პოვნა და მისი გადაჭრა. ეს ეხება როგორც ცალკეულ გაკვეთილებს ისე კომპლექსური დავალებების შესრულების შემდეგ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- ისგს ჯგუფის ოქმები;
- 108-ე-სკოლა-შიდა-მონიტორინგის-დასკვნა-2022-2023 წელი;
- ხარისხის განვითარება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- დანართი - ქეისები;
- პედ. საბჭოს 2023 წლის 5 ივლისის ოქმი N8;
- დანართი N28; დანართი N36; დანართი N37; დანართი N38. დანართი N43;
- ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლა შეფასებისას ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს მაგ. სადამრიგებლო პროგრამებში, პედაგოგიურ საბჭოს/კათედრის/მშობელთა ოქმებში განხილული მოსწავლეთა მიღწევები და გამოკვეთილი პრობლემები/დაგეგმილი ინტერვენციები. კურიკუმის მეთოდოლოგიაში იკვეთება სკოლის ხედვა და სამომავლო მზაობა მოსწავლეთა სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეფასების შესახებ (მაგ. მშობელთა ჩართულობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეებზე დაკვირვება და სხვ.) სასწავლო წლის დასაწყისში შევიმუშავებენ რუბრიკებს, დაკვირვების სქემებს მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად. კომპიუტერული ტექნოლოგიის მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, ჩეკლიტები, თვითშეფასების კითხვარი და დაკვირვებების დღიური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლას არჩეული აქვს შეფასების მეორე მოდელი, სასკოლო გეგმაში განსაზღვრულია შეფასების ფორმები სადაც შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალსიწინებით: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, შეფასება სწავლების პროცესში (კონკრეტულად, როდესაც მოსწავლის შეფასება ხდება თემიდან თემამდე) და შემდეგში მის შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებით მხოლოდ შემაჯამებელ დავალებაში. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში ჩანს რომ, სკოლას აქვს მზაობა შეფასება მოახდინოს მრავალი კონტექსტის გათვალისიწნებით მაგალითად, მოსწავლის მიღწევების/საჭიროებების, მისი სოციალურ და ფსიქ-ოემოციურ მდგომარეობის მონიტორინგით, რასაც ადასტურების კათედრის/მშობელთა ხდომის ოქმები. სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და შემდგომში დაგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები. ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებლები შეფასებას ახოციელებენ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ესენია ყოველდღიური განვითარების ხარისხის მონიტორინგი, რაც გულისხმობს კოორდინაციული და სხვა უნარების დახვეწას და მათ გამოყენებას გაკვეთილზე. ფიზიკური განვითარების შემოწმება ხდება ძველ მონაცემებთან შედარებით. ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია ფიზიკური განვითარებაც, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, რაზეც დაკვირვება შეგვიძლია დღის ნებისმიერ მონაკვეთში. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. პედაგოგის მიერ, კათედრასთან თანამშრომლობით, შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები. სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მასწავლებლები იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა, პორტფოლიო, დაკვირვების და ჩანაწერების დღიურები, ინტერვიუ, კითხვარი. ამის გათვალისწინებით ხდება მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში, სტრატეგიული განვითარების გეგმაში ნათლად ჩანს სკოლის მზაობა და ხედვა მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების შესახებ მაგალითად, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, თვითშეფასება. ხშირად იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც ბავშვებთან ისე მშობლებთან, იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ასევე მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლების და პროექტების საშუალებით და ამაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასწავლებელებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მსგავსი ტიპის მიდგომა, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. წარმოდგენილ 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სკოლის მიერ არჩეული შეფასების მეორე მოდელის ფარგლებში ძირითადი ყურაღება გამახვილებულია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაზე განმავითარებელი შეფასების მრავალი ინტრუმეტების გამოყენებით და შემდგომ თემის ფარგლებში ხდება მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასებით შეფასება. აღნიშნული იძლევა მოსწავლის მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით შეფასების საშუალებას. შეფასების რუბრიკებში ნათლად ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია და სხვა. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. წარმოდგენილი მასალებიდან, მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლისთვის შედგენილია შეფასების გამარტივებული ვარიანტი, რაც გულისხმობს, რომ სამიზნე ცნებები იგივე რჩება, მაგრამ მარტივდება, მცირდება მკვიდრი წარმოდგენები საკითხები და ქვეცნებები, ასევე პროდუქტის წარდგენის სახე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგები;
- დაკვირვების დღიური;
- ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- დანართი N39. დანართი N43;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წამოდგენილი დოკუმენტაციიდან და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია, კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთებული დასკვნების განზოგადება და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. ახალი კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ წინა წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და შესაბამისად აწარმოებენ ამ პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. მოცემულ ეტაპზე დაწყებით საფეხურზე ესტეტიკური აღზრდის კათედრას არ ჰქონდა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა მიმდინარეობს დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. თუმცა, სკოლას აქვს ხედვა და მზაობა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერი სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ კურიკულუმის მეთოდოლოგიაში სკოლას აქვს წარმოდგენილი ხედვა თუ როგორ განახორციელებს კურიკულუმის რევიზიას და შექმნის გადამუშავებულ ვრსიას- „ ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „სკოლა მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობას იწყებს სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.'' შესაბამისად, სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ გასული სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა შედეგების ანალიზი და თვითშეფასება, შესაბამისად, წინამდებარე გეგმა შედგენილია განვლილი წლის ანალიზის გათვალისწინებით“ აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. ამაზე კოორდინირებულად იმუშავებენ საგნობრივი კათედრები. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- თვითშეფასების განაცხადი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა (კურიკულუმის მეთოდოლოგია);
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- წინა წლების კომპლექსურები;
- დანართი N40; დანართი N41. დანართი N43;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - საბაზო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☑ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. ურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, შესაბამისი თემატური ერთეულები, კომპლექსური დავალებები და სასწავლო რესურსები. სკოლის მიერ წარმოდგენილ „ქეისებში“ აღწერილია კურიკულუმზე მუშაობის ყველა საფეხური.

პედაგოგები გასაუბრებისას აანალიზებდნენ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავების სტრუქტურასა და პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით. ისინი აცნობიერებენ, რომ ამ პროცესში უნდა გამოიყენონ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც მათ მთელი სასწავლო წლის მანძილზე დაუგროვდათ და ერთობლივად განსაზღვრონ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია. მოსწავლეებთან და სწავლის დაწყებამდე - მშობლებთან პირისპირ შეხვედრის დროს ცდილობენ გაარკვიონ მათი ინტერესები და სურვილები და ეს ინტერესები შეძლებისდაგვარად ასახონ კიდეც კურიკულუმში. *სკ*ოლის პედსაბჭოს 2023 **წლის 5 ივლისის № 8 ოქმში** ერთ - ერთ საკითხად განხილულია კურიკულუმის მეთოდოლოგიის განხილვა - დამტკიცება. ასევე, სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის 11 ოქმით დამტკიცებულ „სასკოლო სასწავლო გეგმაში“ ინტეგრირებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლის მიერ მოწოდებული საბაზო საფეხურის კურიკულუმების შინაარსი ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. დოკუმენტაციის თანახმად, სასწავლო გეგმის დაგეგმვისას სკოლა მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით არჩევენ კომპლექსურ დავალებებს. საბაზო საფეხურის კურიკულუმები მრავალფეროვანია და საშუალებას აძლევთ მოარგონ სხვადასხვა ინტერესის მქონე მოსწავლეებს, რაც ზრდის ბავშვების ჩართულობას. პედაგოგები სხვადასხვა კლასებში დეტალურად აანალიზებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აკვირდებიან მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს, მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობლებთან და ამ ფაქტორების გათვალისწინებით ახდენენ დავალებათა დაგეგმვასა და მოდიფიცირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ წარდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია კურიკულუმის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ, განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები. კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს. კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა, პედაგოგები მოტივირებულნი არიან სკოლის ადმინისტრაციასთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად ჩაერთონ საგნობრივი და ზოგადად სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. იგეგმება მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ჩართვა სასკოლო კურიკულუმის განვითარებასა და განხორციელებაში, კონკრეტულად, თვითმმართველობის წევრ მოსწავლეებს შეეძლებათ, თავინთი არგუმენტირებული იდეები და ხედვები მიაწოდონ კათედრებსა და ადმინისტრაციას, რაც გაზრდის სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლის თანამონაწილეობას სკოლის ცხოვრებაში. სურვილი აქვთ ამ პროცესში ჩართონ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. ამგვარი მიდგომა კურიკულუმის შემუშავებისას ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების როლისა და ფუნქციის გააზრებას. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებული ჩარჩოების, სასკოლო სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

„კურიკულუმის მეთოდოლოგიის“, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

4. საბაზო საფეხურის საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. სასკოლო გეგმა, შინაგანაწესი და სხვა აქტივობების განხორციელების გეგმა განთავსებულია თვალსაჩინოდ სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე/საკლასო ოთახებში. კურიკულუმის მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ პროცესში აქტიურად უნდა იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობლებთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

სასკოლო საზოგადებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმი გაზიარებული აქვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს. მასწავლებლები კათედრის სხდომებზე აქტიურად განიხილავენ, უზიარებენ ერთმანეთს შედეგებს. აანალიზებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს და ისე გეგმავენ სამომავლო ნაბიჯებს. ჩატარებული სასკოლო ფესტივალების დროს ჩართულია სასკოლო საზოგადოებაც და აქტიურად იღებენ მონაწილეობას ორგანიზებასა და განხორციელებაში. მშობლებს წლის განმავლობაში ჩატარებულ მშობელთა კრებებზე აცნობენ საგნის კურიკულუმს, ასევე ამ მიზნით იყენებენ სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებს. დოკუმენტაციის შესწავლის, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის 11 ოქმით დამტკიცებულ „სასკოლო სასწავლო გეგმა“ (კურიკულუმის მეთოდოლოგია);
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 5 ივლისის №8 ოქმი;
- დანართი „ქეისები“;
- დანართი N1-კომპლექსური დავალების მატრიცა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- დანართი N2-ალავერდის მაკეტის შექმნა მშობელთა ჩართულობით;
- დანართი N3-წიგნი „გურია“;
- დანართი N4-თვითმმართველობის რეფლექსია;
- მასწავლებლებთან გასაუბრებები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმების შინაარსის თანახმად, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრა ითვალისწინებს წინა წლების შედეგების ანალიზს, შემუშავებულ რეკომენდაციებს და პრობლემების გადაჭრის გზებს. თემატური ბლოკის ფარგლებში შერჩეული თემები, საკითხები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად, ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. შერჩეული კომპლექსური დავალებები არის თემის და კლასის, მოსწავლის ასაკის შესაბამისად შერჩეული. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა დაეხმარება მასწავლებლებს სწავლების პროცესი ისე წარმართოს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. კურიკულუმის კომპლექსური დავალებები მოიცავს, ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. აღნიშნული კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დავალებები დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობების მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ინტერესებსა და შეხედულებებს, იყენებენ წამახალისებელ აქტივობებს, რათა მოსწავლეთა ჩართულობა გაიზარდოს საგაკვეთილო პროცესში. დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. უცხოური ენის კურიკულუმის ჩარჩოების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; იმ თემებში, სადაც წარმოდგენილია კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებების იდეები, მაგალითად, ინგლისური ენაში, წარმოდგენილი დავალებები, როგორიცაა პოსტერის პრეზენტაცია თემაზე: მუსიკალური ფესტივალის სარეკლამო დიზაინი და ფესტივალი“, პოსტერის პრეზენტაცია თემაზე: რობოტის დიზაინი მაღალტექნოლოგიური სასტუმროსთვის, სტატია თემაზე ,,ფესტივალი შენ ქვეყანაში'', ნამდვილად შეძლებს იყოს აქტიურად ჩართული შემოქმედებით პროცესში. როგორც ინტერვიუში იქნა აღნიშნული, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების დახვეწასა და განვითარებაზე. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს და მომავალ სასწავლო წელს მეტად გაღრმავდება/გაფართოვდება ძალისხმევა კომპლექსური ბუნების დავალებებზე, თანამშრომლობით სწავლაზე, მოსწავლის ინიციატივების წახალისებაზე. სკოლაში ფუნქციონირებს ინგლისური ენის წრე: Dream English Children'', რომელშიც 18 მერვეკლასელი მოსწავლეა გაერთიანებული. წრის მიერ განხორციელებულ-დაგეგმილი აქტივობების, მშობელთა, მოსწავლეთა რეფლექსიების ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წრე ნაყოფიერი იყო მოსწავლეებისათვის, აძლევდა მოსწავლეებს აქტიური შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. მოწოდებულ დოკუნტაციაში ასევე წარმოდგენილია წრის სამოქმედო გეგმა 2023-2024 სასწავლო წლისათვის. **სასურველია საბაზო საფეხურის გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმებში დაზუსტდეს, ყველა ცნება თემატური ერთეულის ფარგლებში, კონტექსტ მაგალითი უნდა იყოს კონკრეტული ქეისის სახით ჩამოყალიბებული. ინდიკატორი შესაბამისობაშია.** ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში შერჩეული კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (ცნება, კონტექტს-მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვით. კარგად არის შერჩეული ქვეცნებები და საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის უნარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განვითარებაზე. კომპლექსური დავალებები შეესაბამება შერჩეულ ასაკობრივ კატეგორიას, რაც გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობა. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებზე, მოიაზრებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებას. კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები შექმნილია საგნის სტანდარტის მიხედვით, გათვალისწინებულია მიმართულებები და თემები. შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რამდენიმე კურიკულუმში სტანდართან მიმართებები დარღვეული იყო (მაგ. თემატური ბლოკის ფარგლებში არ მუშავედბოდა ყველა სამიზნე ცნება, ზოგიერთ შემთხვევაში საკითხი/კონტექსტ-მაგალითი არ შეესაბამებოდა თემას/დავალების იდეას)), ინტერვიუს პროცესში გაირკვა რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. კათედრამ გადმოაგზავნა ახალი კურიკულუმები, რომელიც შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა ყველა კლასში არაა გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეა, მოცემულია კონტექსტ მაგალითები, მასწავლებლები თემატური ბლოკის, თემის/საკითხის/კონტექტს-მაგალითის გათვალისწინებით მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე განახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს. მსგავსი ტიპის დავალებებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსის თანახმად, საგნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური კათედრის ოქმი, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, ამ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ინკლუზიური განათლების სწავლების ამოცანები და შინაარსი. მასწავლებლებმა ინტერვიუზე იმსჯელეს კონკრეტული სამიზნე ცნებების, აქტივობების სასწავლო მიზნების შესაბამისად როგორ ახდენენ სასწავლო პროცესის დიფერენცირებას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.

ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა რეფლექსიებზე მათი სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. კათედრის წევრებმა იციან, რომ ეს საგანმანათლებლო პრინციპი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და აკადემიური ცოდნის დონის ამაღლებაში. მასწავლებლები შეეცდებიან დავალების აქტივობები მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებას, რათა მათთვის უფრო ადვილი გახდეს საკუთარი სწავლის პროცესის სოციო-ემოციურად მართვა. მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში.

უცხო ენის კათედრის დოკუმენტაციაში არ ჩანს, როგორ ახდენენ უშუალოდ კომპლექსური დავალებების დიფერენცირებას, თუმცა გასაუბრებისას ზეპირად იქნა განხილული დავალების დიფერენცირების გზები. ასევე ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უცხოური ენის

მასწავლებლები შეისწავლიან მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს, შესაძლებლობებს და ყოველივე ამის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს, იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლას აქვთ მზაობა, გაითვალისწინოს დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები სასწავლო პროცესში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები (სკოლას არჩეული აქვს შეფასების მეორე მოდელი). დანართის სახით წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები: კომპლექსური დავალების შეფასება, კომპლექსური დავალების რეფლექსია, მოსწავლეთა თვითშეფასება და სხვა, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესის შესაფასებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული), რათა მოსწავლეებმა მიიღონ ისეთი სტატიკური ხასიათის ცოდნა, რაც მოიაზრებს ფაქტების, თეორიებისა და წესების შეწავლასა და სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნის რეალიზების საშუალებას. კურიკულუმში მრავლადაა ისეთი დავალებები სადაც მოსწავლეებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა მიღებული ცოდნის საფუძველზე. მაგალითად შექმნან პოსტერი, ბუკლეტი, რობოტი, თამაშის ალგორითმი, ანიმაცია და ა.შ.

ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს ზოგად რუბრიკებს როგორ გარდაქმნიან სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით. ასევე, იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის. მასწავლებლებმა ისაუბრეს კონკრეტულ მაგალითებზე, სადაც თავად მოსწავლეც აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ნამუშევრებს/ცოდნას. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ კიდევ უფრო მრავალფეროვან წყაროებს გამოიყენებენ რათა სასწავლო პროცესი უფრო სიღმისეულად შეისწავლონ, გამოიკვლიონ კურიკულუმების ძლიერი და სუსტი მხარეები.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, საბაზო საფეხურზე გეოგრაფიის საგანთან არ არის წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასურველია შეიქმნას ისეთი შეფასების რუბრიკები, რომლებიც განსაზღვრავს თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნების მიხედვით და მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, როგორც ეს გაკეთებულია ისტორიასა და მოქალაქეობაში.

დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 5 ივლისის N8 ოქმის, სასკოლო სასწავლო გეგმის, გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე ხორციელდება მიმდინარე სასწავლო პროცესის ანალიზი, მსჯელობენ მშობელთა ჩართულობის სტრატეგიებზე. შეფასების ინსტრუმენტებზე, კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებზე, შედეგებზე - რამ იმუშავა კარგად, რისი გამოსწორებაა უპრიანი და რა გზით უნდა მოხერხდეს პრობლემის გადაჭრა.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ კომპლექსური დავალებების მიხედვით ბავშვების შედეგებს, მათ ჩართულობას, დავალების შესრულების ხარისხს. აფასებენ სხვადასხვა აქტივობების შესაბამისობას ასაკთან და მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაძლებლობებთან და ახალი კურიკულუმების შემუშავება ხდება ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების - თემის, საგნობრივი საკითხების, ცნებებისა და დავალების პირობის ურთიერთკავშირი საშუალებას აძლევთ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებასა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას სასწავლო პროცესში. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა გამოიყენებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოებს სასწავლო პროცესის გასაანალიზებლად.

დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადობასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა გამოცდილების ანალიზისას მიღებულ შედეგებსა და მონაცემებს გამოიყენებს და საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით ასახავს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი;
- სასკოლო გეგმის დანართები 2023-2024;
- ინკლუზიური განათლების კათედრის ოქმი N1 2023-2024;
- პედსაბჭო - ინდგეგმა;
- სამეურვეო - ინდგეგმა;
- ნიმუში განმავითარებელი შეფასება;
- 108-ე-საჯარო-სკოლა განმავითარებელი-შეფასება 9 კლასი;
- 108-ე საჯარო სკოლა(განმავითარებელი შეფასება 7 კლასი);
- პედსაბჭოს ოქმი N8;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- დანართი N5-საბაზო საფეხურის ქეისი დანართი N10-ვიქტორინა 8-9 კლასი დანართი N11-კომპლექსური დავალება-8კლასი დანართ N12-კომპლექსური დავალების პროდუქტიი (კომიქსი);
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ***მაგალითად, ინგლისური ენაში, წარმოდგენილი დავალებები, როგორიცაა პოსტერის პრეზენტაცია თემაზე: მუსიკალური ფესტივალის სარეკლამო დიზაინი და ფესტივალი", პოსტერის პრეზენტაცია თემაზე: რობოტის დიზაინი მაღალტექნოლოგიური სასტუმროსთვის, სტატია თემაზე „ფესტივალი შენ ქვეყანაში", ნამდვილად შეძლებს იყოს აქტიურად ჩართული შემოქმედებით პროცესში.***

მტკიცებულებების სახით წარმოდგემილია სხვადასხვა სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმეტაცია (მაგ. კუტურული მემკვიდრეობა, განძის მაძიებლები, ნახატების კონკურსი სახელწოდებით „გვაქვს უთვალავი ფერითა..."„ჩემი კულტურა ჩემი სიმდიდრეა"და სხვ.) სადაც ჩანს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტებში, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში, რაც ნათლად ადასტურების მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ქართული ენისა და ლიტერატურის VII-IX კლ. კურიკულუმში წარმოდგენილი მხატვრული ტექსტები, შერჩეული თემები, კომლექსური დავალებების იდეები, კონსტრუქტივისტული მეთოდიკით განხორციელების შემთხვევაში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების დახვეწასა და განვითარებაზე. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს და მომავალ სასწავლო წელს მეტად გაღრმავდება/გაფართოვდება ძალისხმევა კომპლექსური ბუნების დავალებებზე, თანამშრომლობით სწავლაზე, მოსწავლის ინიციატივების წახალისებაზე. 2023 წლის სექტემბერში სკოლაში აღინიშნა ევროპული ენების კვირეული, რომელშც მონაწილეობა მიიღო ყველა საფეხურის მოსწავლემ. კვირეულის ფარგლებში განხორციელდა მრავალი აქტივობა, კერძოდ, მოეწყო პრეზენტაციები, დამზადდა ბუკლეტები ქართულ და ინგლისურ ენებზე და გავრცელდა სკოლის თემში, შეიქმნა პოსტერები, კედლის გაზეთები ქართულ,ინგლისურ და გერმანულ ენებზე, დამზადდა ევროპის ქვეყნების დროშები და გამოიფინა სკოლის დერეფნებში და კიბეებზე, სკოლის ფოიეში გაიმართა მუსიკალური ღონისძიება - "აღიქვი ჟღერადობა - გამოიცანი ენა", ჩატარდა ვიქტორინები: ''ევროპა'', „გამოიცანი ევროპული ქვეყნის დროშა'', "გამოიცანი რომელი ქვეყნის დროშა/ გამოიცანი ეროვნული სამოსი'' და ა.შ. ***დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ*** **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსის თანახმად, სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაცაა შექმნილია საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. ასევე კომპლექსური დავალებების ბარათებში კარგად ჩანს, რომ დავალების პირობები შექმნილია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები შემუშავებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ახალი დავალებების შესრულებისთვის აუცილებელია ძველის ცოდნაც, რაც განამტკიცებს წინარე ცოდნას და უზრუნველყოფს ახლის ათვისებას.

მასწავლებლებს მართებულად ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტის არსი და დანიშნულება. პედაგოგები მართებულად იაზრებენ, სასწავლო პროცესში სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისათვის, ახალი ცოდნის შესაძენად - ამ საგანმანათლებლო პრინციპის როლსა და მნიშვნელობას. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს, რომ კურიკულუმებში შეიტანეს ის კომპლექსური დავალებები და დასამუშავებელი საკითხები რამაც წინა წლის გამოცდიელებით მოსწავლეების დაინტერესება და ჩართულობა გამოიწვია. ამასთან აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის კონტრუირებას წინარე ცოდნის გააქტიურებით ახდენენ. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ საბაზო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნების ჩარჩო კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპექსური ტიპის დავალებები (ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგემილია საკითხი/კონტექტს-მაგალითი, მასწავლებლები დავალების პროდუქტს შეარჩევენ მოსწავლეთა ინტერესებზე დაყრდნობით) რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, კომპლექსური დავალებების კონტექტს მაგალითები ხელს უწყობს მოსწავლეებში ნებელობის გაძილერებასა და მათ დაინტერესებას. მოსწავლეს საშუალება ეძლევა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი ისეთ აქტივობებიში რომელიც გულისხმობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას (მაგ. „განძის მაძიებლები“, ვიქტორინის /ღონისძიებების კვირეული) სასკოლო პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და ინტერვიუ ცხადყოფს, რომ მათ გააზრებული აქვთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. პედაგოგების მიხედვით, მოსწავლეები ეჩვევიან სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების, წერა, კითხვა, ლაპარაკის, მოსმენის სტრატეგიებს. მოსწავლეები მსჯელობენ კომპლექსური დავალებების მათ მიერ განხორციელების გზების შესახებ. ინტერვიუს დროს მასწავლებელებმა აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. რესურსებად გამოყენებულია ვიდეო ტუტორიალები, ელექტრორესურსები სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ დავალებებზე, რაც მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, ალგორითმის შექმნასა და მოსაზრებების შეჯერებას, საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში, სხვა საგნობრივ დისციპლინაში ცოდნის ტრანსფერის გამოყენების საშუალებას აძლევს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

4. კურიკულუმის მეთოდოლოგიის თანახმად გაწერილია, რომ სასწავლო პროცესი ითვალსწინებს ცოდნის სამი პირობის მიხედვით საკითხის გაგება-გააზრებას, რის მიხედვით სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის ჩარჩოები, ხოლო წინა წელს კი განხორციელებული აქვს კომპლექსური დავალებები, რომლის დამუშავების პროცესი ცოდნის კონსტრუირების მიხედვით განხორციელდა, რის მიხედვით წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები და პროექტების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები. საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მტკიცებულებების სახით წარმოდგემილ დოკუმეტაციაში (სხვადასხვა პროექტები, ღონისძიებები, ინტელექტუალური თამაშები) ნათლად იკვეთება მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც მოიცავს როგორც დეკლარატიული, ასევე პირობისეული და პროცედურული ცოდნას, აღნიშნული მსჯელობა დაადასტურეს მასწავლებლებმა ინტერვიუზე საწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივოებებსა და სასწავლო მეთოდებზე მსჯელობისას. კურიკულუმში მრავლადაა ისეთი დავალებები სადაც მოსწავლეებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა მიღებული ცოდნის საფუძველზე. მაგალითად შექმნან პოსტერი, ბუკლეტი, რობოტი, თამაშის ალგორითმი, ანიმაცია და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის ისეთი დავალებები, როგორიცაა, მაგალითად, მეშვიდე კლასის რუსული, ენის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული საკითხები: პრეზენტაციას თემაზე: "Моя школа.Мой класс", ვიდეორგოლი თემაზე "Моё любимое место в городе ნამდვილად აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება, ფუნქციურ კონტექსტში გამოიყენონ ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებები, შეძლონ ცოდნის ტრანსფერი მათთვის ავთენტურ გარემოში. კათედრის წევრებმა ინტერვიუში განაცხადეს, რომ 2022-2023 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი იყო სვლა კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, მიმდინარე სასწავლო წელს ყველა უცხოური ენის თითქმის ყველა კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ორი პროექტული ბუნების დავალება. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბების საფუძველზე დგინდება, საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული), შესაბამისად ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

სასურველია საბაზო საფეხურზე უცხოური ენების ყველა თემაში, ყველა სამიზნე ცნებაზე დაიგეგმოს და კურიკულუმში აისახოს კომპლექსური ბუნების დავალებები.

5. საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. სკოლა ჩართული იყო ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის და ორგანიზაცია "PH-international" მიერ ორგანიზებულ CTEL-ის პროექტში, რომელიც ითვალისწინებდა სამი საგნის (ინგლისური ენა-ისტი-სამოქალაქო) ინტეგრირებას და ინოვაციური სასწავლო მეთოდების გამოყენებას სასწავლო პროცესში. მუშაობა მიმდინრეობდა შემდეგ მიმართულებებით: სწავლა სწავლების ხარისხის ამაღლება, 21-ე საუკუნის თანამედროვე სასწავლო რესურსების, სწავლების მეთოდების და აპლიკაციების დანერგვა სასწავლო პროცესში, სრულყოფილი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, სამოქალაქო აქტივობისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა, კრიტიკული და კომპლექსური აზროვნების, ტრანსფერის უნარის განვითარების ხელშეწყობა. დაგეგმილის ინტეგრირებული გაკვეთილები და სასწავლო პროექტები სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით CTEL-ის პროექტში მიღებული გამოცდილების მდგრადობის შენარჩუნების მიზნით.

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ ცალცაკე ნასწავლი სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების გამოყენება უშუალოდ თამაშის დროს. მათი ცოდნის ორგანიზებით და ურთიერთდაკავშირებით ვიღებთ სრულყოფილად შესრულებლ დავალებას ასაკთან შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების - თემის, საგნობრივი საკითხების, ცნებებისა და დავალების პირობის ურთიერთკავშირი საშუალებას აძლევთ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებასა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას სასწავლო პროცესში. კათედრა გამოიყენებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოებს სასწავლო პროცესის გასაანალიზებლად.
წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- 2-607 უფასო საგნობრივი წრე და კლუბის შექმნა;
- დანართი N3-წიგნი გურია;
- დანართი N28 - N108 საჯარო სკოლის პროექტი;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- დანართი N5-საბაზო საფეხურის ქეისი დანართი N10-ვიქტორინა 8-9 კლასი დანართი N11-კომპლექსური დავალება-8კლასი დანართ N12-კომპლექსური დავალების პროდუქტიი (კომიქსი);
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ინგლისური ენის წრის სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი);
- პროექტ CTEL-ის ის რეფლექსია, გაკვეთილების ჩანაწერები, გეგმები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. შემუშავებული კომპლექსური ბუნების დავალებები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული მიდგომების გათვალისწინებით.

სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, **თუმცა არის რიგი გარემოებები, რომლებიც სასურველია, რომ გასწორდეს, კერძოდ:**

ქიმიის VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (წყალი, ხსნარები) მეორე ძირითად საკითხთან განსაზვრულია კომპლექსური დავალების იდეა „როგორ წარმოვაჩინოთ წყლის „ჯადოსნური“ თვისებები პოსტერის საშუალებით“, ამავე საკითხთან ასევე განსაზღვრულია მაგალითები შედარებისთვის 1. 2. „წყლის ფიზიკური თვისებები“ და „წყლის ქიმიური თვისებები“, არცერთი მათგანი (არც კომპლექსური დავალების იდეა და არც მაგალითები შედარებისთვის 1.2.) თავისი შინაარსით არ მოდის კორელაციაში შესასწავლ პირველ ძირითად საკითხთან (ნარევები და ხსნარები) და მასთან განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან, ამავდროულად, წყლის ქიმიური თვისებების შესწავლა აღნიშნულ სასწავლო თემაში არ ხორციელდება.

III თემის (ელემენტების ორგანიზაციის პრინციპი) კურიკულუმის ჩარჩოში თემა არის მითითებული არასწორად, წერია ელემენტთა ორგანიზების პრინციპი და უნდა ეწეროს ელემენტების ორგანიზაციის პრინციპი (სტანდარტის მიხედვით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფიზიკის VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემა (ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - ენერგია და ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

II თემა (თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა), თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - მატერია, ენერგია და ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

III თემის (ძალა და წნევა) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებასთან „ძალა" შესაბამისი ზოგადი ქვცენება მითითებულია არასწორად, წერია - ძალის მოქმედების შედეგები, უნდა ეწეროს ნიუტონის კანონები - ძალის მოქმედების შედეგები. მეორე და მესამე ძირითად საკითხთან არ არის განსაზღვრული შესაბამისი ცნება/ქვეცნება, ამავდროულად, აღნიშნული თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება ენერგია დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

ფიზიკის VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (მექანიკური მოვლენები) მეორე ძირითად საკითხთან მითითებულია სამიზნე ცნებები „ენერგია" და „ძალა" შესაბამისი კერძო ქვცენების გარეშე.

II თემის (სითბური მოვლენები) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „ენერგია" შესაბამისი კერძო ქვცენების გარეშე, იმავე სამიზნე ცნებასთან ზოგადი ქვცენება მითითებულია არასწორად, წერია - მოლეკულების ურთიერთქმედების ენერგია და უნდა ეწეროს - მოლეკულების ურთიერთქმედების პოტენციალური ენერგია. ამავე საკითხთან არ არის განსაზღვრული სახელმძღვანელო, როგორც სასწავლო რესურსი, ხოლო მითიტებულია ექსპერიმენტი - შესაბამისი მეთოდიკის გარეშე. მეორე ძირითად საკითხთან მითითებულია სამიზნე ცნებები შესაბამისი კერძო ქვცენების გარეშე.

ფიზიკის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა) პირველ ძირითად საკითხთან მითითებულია სამიზნე ცნებები შესაბამისი კერძო ქვცენების გარეშე.

II თემის (სტატიკა და დინამიკა) პირველ მეორე და მესამე ძირითად საკითხთან მითითებულია სამიზნე ცნებები შესაბამისი კერძო ქვცენების გარეშე.

საბაზო საფეურის ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოში უმეტეს შემთხვევაში სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია „ფიზიკური პროცესები" და უნდა ეწეროს - „ფიზიკური პროცესი").

ბიოლოგიის VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

I თემის (სიცოცხლის ორგანიზაციის დონეები) პირველ და მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „ჯანმრთელობა და დაავადება“ შესაბამისი კერძო ქვცენების გარეშე.

III თემის (ნივთიერების მიმოცვლა და ტრანსპორტი) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სასიცოცხლო თვისება“ შესაბამისი კერძო ქვცენების გარეშე. მესამე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „ჯანმრთელობა და დაავადება“ შესაბამისი კერძო ქვცენების გარეშე.

IV თემა (ჯანმრთელობა და მავნე ჩვევები), თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - სტრუქტურა, ფუნქცია, სასიცოცხლო თვისება და ბიომრავალფეროვნება დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

ბიოლოგიის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

II თემის (ადამიანის შეგრძნების ორგანოები) კურიკულუმის ჩარჩოში თემა არის მითითებული არასწორად, წერია შეგრძნების ორგანოები და უნდა ეწეროს ადამიანის შეგრძნების ორგანოები (სტანდარტის მიხედვით).

III თემის (ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა) კურიკულუმის ჩარჩოში თემა არის მითითებული არასწორად, წერია რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა და უნდა ეწეროს ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთლეობა (სტანდარტის მიხედვით).

IV თემის (უჯრედის მეტაბოლიზმი) კურიკულუმის ჩარჩოში თემა არის მითითებული არასწორად, წერია უჯრედული მეტაბოლიზმი და უნდა ეწეროს უჯრედის მეტაბოლიზმი (სტანდარტის მიხედვით).

V თემის (სახეობა და პოპულაცია) მეოთხე ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად, წერია - სასიცოცხლო ფუნქცია და უნდა ეწეროს - სასიცოცხლო თვისება.

საბაზო საფეურის ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოში უმეტეს შემთხვევაში სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია „სასიცოცხლო თვისებები“ და უნდა ეწეროს - „სასიცოცხლო თვისება“, წერია „სტრუქტურა და ფუნქცია“, უნდა ეწეროს - „სტრუქტურა, ფუნქცია“).

სკოლის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის გზით გადმოგზავნილია საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ის კომპლექსური დავალებები, რომლის მიხედვითაც იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს (VII, VIII, და IX კლასებში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქიმიის VIII კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში „წყალი, ხსნარები“ მოწოდებული კომპლექსური დავალება (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის მეორე ძირითადი საკითხი) თავისი შინაარსით არ მოდის კორელაციაში ძირითად საკითხთან, მასთან განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან და იგი პრაქტიკულად თავიდან არის გასაწერი.

ქიმიის VIII კლასის მესამე სავალდებულო სასწავლო თემაში „ელემენტების ორგანიზაციის პრინციპი“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის მეორე ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებების შესაბამის ქვეცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით სამიზნე ცნებასთან „ნივთიერება“ განსაზღვრულია კერძო ქვეცნებები - მჟავა/ფუძე, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებასთან „ნივთიერება“ მითითებულია კერძო ქვეცნებები - ოქსიდი, ფუძე, მჟავა, მარილი; კომპლექსური დავალების მიხედვით სამიზნე ცნებასთან „ქიმიური ბმა“ განსაზღვრულია კერძო ქვეცნებები - იონური და კოვალენტური ბმა, სავალენტო ელექტრონები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებასთან „ქიმიური ბმა“ მითითებულია კერძო ქვეცნებები - კოვალენტური ბმა, იონური ბმა).

ქიმიის IX კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში „ნივთიერებათა მრავალფეროვნება“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებების შესაბამის ქვეცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით სამიზნე ცნებასთან „ნივთიერება“ განსაზღვრულია კერძო ქვეცნება - ნაერთთა კლასების წარმომადგენლები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებასთან „ნივთიერება“ მითითებულია კერძო ქვეცნებები - ოქსიდი, ფუძე, მჟავა, მარილი; კომპლექსური დავალების მიხედვით სამიზნე ცნებასთან „ქიმიური ბმა“ განსაზღვრულია კერძო ქვეცნებები - მეტალური/იონური ბმა, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებასთან „ქიმიური ბმა“ მითითებულია კერძო ქვეცნებები - კოვალენტური ბმა, იონური ბმა; კომპლექსური დავალების მიხედვით სამიზნე ცნებასთან „ფიზიკური და ქიმიური მოვლენები“ განსაზღვრულია კერძო ქვეცნება - ნივთიერებათა გარდაქმნა, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებასთან „ფიზიკური და ქიმიური მოვლენები“ მითითებულია კერძო ქვეცნება - ნეიტრალიზაციის რეაქცია).

ფიზიკის VII კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში „ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებების შესაბამის ქვეცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით სამიზნე ცნებასთან „მატერია“ განსაზღვრულია კერძო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქვეცნებები - ნივთიერება, ფიზიკური სხეული, მოლეკულა, აგრეგატული მდგომარეობა, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებასთან „მატერია“ მითითებულია კერძო ქვეცნებები - ნივთიერების სტრუქტურა და თვისებები, ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობა), ამავდროულად, აღნიშნულ კომპლექსურ დავალებაში მითითებული სამიზნე ცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება ერთი სამიზნე ცნების - მატერია მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია ორი სამიზნე ცნება - მატერია და ფიზიკური პროცესი).

ფიზიკის VIII კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში „მექანიკური მოვლენები“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებების შესაბამის ქვეცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით სამიზნე ცნებასთან „მატერია“ განსაზღვრულია კერძო ქვეცნებები - ნივთიერება, სიხისტე, ხახუნის კოეფიციენტი, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებასთან „მატერია“ მითითებულია კერძო ქვეცნება - ნივთიერების სტრუქტურა და თვისებები; კომპლექსური დავალების მიხედვით სამიზნე ცნებასთან „ენერგია“ განსაზღვრულია კერძო ქვეცნებები - მექანიკური მუშაობა, სიმძლავრე, მექანიკური ენერგია, ენერგიის მუდმივობის კანონი, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებასთან „ენერგია“ მითითებულია კერძო ქვეცნებები - სიმძლავრე, მექანიკური ენერგია (პოტენციური, კინეტიკური)), ამავდროულად, აღნიშნულ კომპლექსურ დავალებაში მითითებული სამიზნე ცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება ორი სამიზნე ცნების - მატერია და ენერგია მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია სამი სამიზნე ცნება - მატერია, ენერგია და ფიზიკური პროცესი).

ფიზიკის IX კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში „თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის მეორე ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებების შესაბამის ქვეცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით სამიზნე ცნებასთან „ფიზიკური პროცესი“ განსაზღვრულია ქვეცნება - მექანიკური მოძრაობა, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებასთან „ფიზიკური პროცესი“ მითითებულია ზოგადი ქვეცნება - მექანიკური მოძრაობა და კერძო ქვეცნება - აჩქარებული მოძრაობა), ამავდროულად, აღნიშნულ კომპლექსურ დავალებაში მითითებული სამიზნე ცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება ერთი სამიზნე ცნების - ფიზიკური პროცესი მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია სამი სამიზნე ცნება - მატერია, ძალა და ფიზიკური პროცესი). კომპლექსურ დავალებაში თემა არის მითითებული არასწორად, წერია აჩქარებული მოძრაობა და უნდა ეწეროს თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა (სტანდარტის მიხედვით).

ბიოლოგიის VIII კლასის მესამე სავალდებულო სასწავლო თემაში „ნივთიერებების მიმოცვლა და ტრანსპორტი“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებების შესაბამის ქვეცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით სამიზნე ცნებასთან „სტრუქტურა, ფუნქცია“ განსაზღვრულია კერძო ქვეცნებები - ორგანო, ორგანოთა სისტემა; ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებასთან „სტრუქტურა, ფუნქცია“ მითითებულია კერძო ქვეცნებები - სისხლი, გული, სისხლძარღვები, ქსოვილური სითხე, ლიმფა, პლაზმა, სისხლის ფორმიანი ელემენტები; კომპლექსური დავალების მიხედვით სამიზნე ცნებასთან „ჯანმრთელობა და დაავადება“ განსაზღვრულია კერძო ქვეცნება - ჯანსაღი ცხოვრების წესი, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებასთან „ჯანმრთელობა და დაავადება“ მითითებულია კერძო ქვეცნებები - ჯანსაღი ცხოვრების წესი, ლეიკოზი, ჰემოფილია; კომპლექსური დავალების მიხედვით სამიზნე ცნებასთან „სასიცოცხლო თვისება“ განსაზღვრულია კერძო ქვეცნება - ნივთიერების მიმოცვლა, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნებასთან „სასიცოცხლო თვისება“ კერძოდ ქვეცნებები განსაზღვრული საერთოდ არ არის). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

რჩევა: სკოლას მიეცეს რჩევა, რომ საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ბიოლოგია. ქიმია) მიმართულების ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებული იყოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, სავალდებულო სასწავლო თემების და სამიზნე ცნების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ცნებასთან განსაზღვრული იყოს შესაბამისი კერძო ქვცენება (ამავდროულად სწორად), ყველა ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსებში მითითებული იყოს გრიფირებულ სახელმძღვანელო. კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულ კომპლექსური დავალების იდეაში იკითხებოდეს აზრი და იყოს გასაგები. კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითად (ნებიემიერ) საკითხთან განსაზღვრული სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, ძირითადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის მოდიოდეს ერთმანეთთან კორელაციაში, კომპლექსურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დავალებაში მითითებული სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და კურიკულუმის ჩარჩო - ცხრლებში მითითებული სამიზნე ცნებები/ქვეცნებები (ერთი და იგივე კონტესქსტ - მაგალითის შემხვევაში) იდენტური იყოს, კომპლექსური დავალება თავისი შინაარსით კორელაციაში მოდიოდეს ძირითად საკითხთან, მასთან განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან.

2. საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ძირითადი ორიენტირები, თემები და კომპლექური დავალებების იდეები გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები უმეტესად მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას, სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა, ხელოვნებაში შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა, განწყობის გადმოცემა. კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია სარეკომენდაციო თემები, რომელთა ნაწილი მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედურ მიზნებში კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ- კომპონენტური უნარების განვითარებას. კომპლექსური დავალებების თემატიკა, საკლასო და არაფორმალური აქტივობები, სასწავლო პროექტები შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების დაფიქრებას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე როგორიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ფიზიკური განვითარება, იდენტობა, თანასწორუფლებიანობა და პასუხისმგებლობა. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თემატური ერთეულები, დავალების შესრულებისას გადასაჭრელი პრობლემები, განსახორციელებელი აქტივობები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, კონტექსტ მაგალითები, მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს. სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებისას აღნიშნა, კურიკულუმებს და სადამრიგებლო პროგრამებს ადგენენ იმგვარად, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო სოციალურ განვითარებას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე მორგებული თანასწორუფლებიანი გარემო. მასწავლებელმა აღნიშნეს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია კლუბი "რობოტიკა 108", რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. წარმოდგენილი შეფასების ზოგადი/კონკრეტული რუბრიკებიდან (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) ჩანს, რომ კათედრა სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის იყენებს შეფასების ორივე ფორმას და მოსწავლეებს აფასებს მრავალმხრივად. სკოლას არჩეული აქვს შეფასების მეორე მოდელი, სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურადაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოდგემილი ამ მოდელის ფარგლებში მოსწავლის შეფასების ხედვა და ამოცანები. სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადსხვა შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა სხვადასხვა აქტივობების შეფასებას. ***უცხოური ენების კათედრას გააზრებული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მიმართულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე კათედრა გეგმავს შეფასების ისეთი რუბრიკების შექმნას, რომელიც მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას დაინახოს მოსწავლე პიროვნული, ფსიქო-სოციალური და აკადემიური უნარების ჭრილში.*** სკოლა ცდილობს მოსწავლეები ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით ჩართონ სასწავლო პროცესში. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას სამიზნე ცნების ფლობის დონის განსასაზღვრად. შემაჯამებილი წერების დროს მოსწავლემა წინასწარ იციან, რომელ კომპონენტში და რამდენი ქულით შეფასდებიან. თითოეული თემისათვის, შემაჯამებელი დავალებებისათვის კათედრა შეიმუშავებს და დახვეწს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეძლებისდაგვარად გააანალიზებს მოსწავლის განვითარების ყველა სფეროს (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო ემოციური).

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, მათ აქვთ შექმნილი შეფასების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებისთვის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) რუბრიკები, თუმცა **არის მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც სასურველია, რომ გასწორდეს, კერძოდ,**

ქიმიის VIII კლასის პირველი სავალდებულო თემის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა არ არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, აღნიშნულ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში ხდება მოსწავლის შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით: „მოსწავლე აქტიურად ესწრება საგაკვეთილო პროცესს და ჩართულია სასწავლო აქტივობებში - 2 ქულა“ და „მოსწავლე მუშაობას საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, თანამშრომლობს კლესელებთან და მასწავლებელთან“ – 2 ქულა, (დანარჩენი 6 ქულა არის გადანაწილებული რა უნდა შეძლოს მოსწავლემ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიმართ), თავად რუბრიკაც შინაარსობრივად დასაკორექტირებელია.

ქიმიის VIII კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (შექმნილი არის პირველი სავალდებულო თემის ერთი კონტექსტ - მაგალითისთვის) თავისი შინაარსით არ მოდის კორელაციაში ძირითად საკითხთან, მასთან განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან და იგი პრაქტიკულად თავიდან არის გასაწერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქიმიის IX კლასის პირველი სავალდებულო თემის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა არ არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, აღნიშნულ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში ხდება მოსწავლის შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით: „მოსწავლე აქტიურად ესწრება საგაკვეთილო პროცესს და ჩართულია სასწავლო აქტივობებში - 2 ქულა“ და „მოსწავლე მუშაობას საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, თანამშრომლობს კლესელებთან და მასწავლებელთან“ – 2 ქულა, (დანარჩენი 6 ქულა არის გადანაწილებული რა უნდა შეძლოს მოსწავლემ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიმართ).

ქიმიის IX კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში (შექმნილი არის პირველი სავალდებულო თემის ერთი კონტექსტ - მაგალითისთვის) მითითებული სამიზნე ცნებები არ მოდის თანხვედრაში კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილთან (კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულია სამიზნე ცნებები - ნივთიერება, ქიმიური ბმა და ფიზიკური და ქიმიური მოვლენები, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში - ნივთიერება და ფიზიკური და ქიმიური მოვლენები), თავად შეფასების რუბრიკაც დასაკორექტირებელია.

ფიზიკის VII კლასის პირველი სავალდებულო თემის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა არ არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, აღნიშნულ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში არ ხდება მოსწავლის შეფასება სამიზნე ცნებების მიმართ.

ფიზიკის VII კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში (შექმნილი არის პირველი სავალდებულო თემის ერთი კონტექსტ - მაგალითისთვის) მითითებული სამიზნე ცნებები არ მოდის თანხვედრაში კომპლექსურ დავალებასთან (კომპლექსურ დავალებაში მითითებულია სამიზნე ცნებეა - მატერია, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში - მატერია და ფიზიკური პროცესი).

ფიზიკის VIII კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში (შექმნილი არის პირველი სავალდებულო თემის ერთი კონტექსტ - მაგალითისთვის) მითითებული სამიზნე ცნებები არ მოდის თანხვედრაში არც კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილთან და არც კომპლექსურ დავალებასთან (კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულია სამიზნე ცნებები - მატერია, ენერგია, ფიზიკური პროცესი, კომპლექსურ დავალებაში მითითებულია სამიზნე ცნებები - მატერია და ენერგია, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში - მატერია, ენერგია, ძალა და ფიზიკური პროცესი), ამავდროულად, საფეხურის შედეგებიც მითითებულია არასწორად, წერია ფიზ. საბ. 1 ,2, 3, 10, 11 და ა.შ. და უნდა ეწეროს, მაგალითად, ფიზ. საბ. 1 ,2, 3, 4;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფიზიკის IX კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში (შექმნილი არის პირველი სავალდებულო თემის ერთი კონტექსტ - მაგალითისთვის) მითითებული სამიზნე ცნებები არ მოდის თანხვედრაში კომპლექსურ დავალებასთან (კომპლექსურ დავალებაში მითითებულია სამიზნე ცნებები - მატერია და ფიზიკური პროცესი, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში - მატერია, ძალა და ფიზიკური პროცესი), ამავდროულად, არ არის გაწერილი სამიზნე ცნების „ფიზიკური პროცესი" მკვიდრი წარმოდგენების მიმართ, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

რჩევა: სკოლას მიეცეს რჩევა, რომ საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების განმასზღვრელი შეაფსების რუბრიკაში სასწავლო თემის დასახელება მითითებული იყოს სწორად (სტანდარტის შესაბამისად), ამავდროულად, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა იყოს გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, არ განხორციელდეს მოსწავლის შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით: „მოსწავლე აქტიურად ესწრება საგაკვეთილო პროცესს და ჩართულია სასწავლო აქტივობებში - 2 ქულა" და „მოსწავლე მუშაობას საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, თანამშრომლობს კლესელებთან და მასწავლებელთან" – 2 ქულა, ამავდროულად, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში განხორციელდეს მოსწავლის შეფასება სამიზნე ცნებების მიმართ.

საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების განმავითარებელი შეაფსების რუბრიკებში სამიზნე ცნება/ქვეცნება თანხვედრაში მოდიოდეს როგორც კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულ სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან, ასევე კომპლექსურ დავალებასთან (ერთი და იგივე კონტექსტ - მაგალითის შემთხვევაში), ამავდროულად, შეფასების რუბრიკებში მითითებული საფეხურის შედეგები შეესაბამებოდეს სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულ საფეხურის შედეგებს.

4. წარმოდგენილი დოკუმნეტაცია ცხადყოფს რომ შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდატრის გათვალისწინებით. მოსწავლეები ფასდებიან კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებით და მათთვის ნაცნობია შეფასების კრიტერიუმები. სკოლას არჩეული აქვს შეფასების მეორე მოდელი. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში განაცხადეს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი ურთერთშეფასებასა და თვიშეფასებაში. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს გამოსაყენებელ რუბრიკებს, ასევე მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს. შეფასების სიხშირეს მონიტორინგს უწევს ადმინისტრაცია ელექტრონული ჟურნალის სისტემატური მონიტორინგის გზით. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმეტი, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, პრინციპები, პროცესი, პასუხისმგებელ პირი/პირები. დოკუმენტში ასახულია ვერიფიკაციის შემდეგი ამოცანები: ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან, ბ) მოსწავლის მიღწევის ანალიზი გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. დოკუმენტში ასევე ასახული ვერიფიკაციის პრინციპები. სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების ინსტრუმენტის, პროცესის და მტკიცებულებების (შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების) ვერიფიკაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა წარმართოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- სტრატეგიული გეგმა 7 წლიანი;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- პედსაბჭოს ოქმი N8 დანართი ვერიფიკაციის-მექანიზმი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- დანართი N8-სოლოტაქსონომიის შეფასება დანართი N15-ეკოკლუბის რეფლექსია
- საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ბიოლოგია და ფიზიკა) მიმართულების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, კომპლექსური დავალებები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა), გასაუბრება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ბიოლოგია და ფიზიკა) მიმართულების პედაგოგებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
2. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
3. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია, მიზნები და ღირებულებები, რის მიხედვით აქცენტი კეთდება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და განვითარებაზე. კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებში კარგად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. აქტივობები და დავალებები ორგანიზებულია მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორიცაა წარმატებული მოსწავლის სიტყვიერი შეფასება, მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოვება და სხვა. მოსწავლე მასწავლებლისგან მუდმივად გრძნობს მხარდაჭერას. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ჩართულნი არიან სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრაში. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და ერთმანეთის დახმარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და კულტურული თავისებურებანი. იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს თანამშრომლობით ურთიერთობებს.

გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მშობლებთან აქვთ ღია ურთიერთობები, აწარმოებენ მათთან სატელეფონო კომუნიკაციას, მიმოწერას, აცნობენ მათ შვილებთან დაკავშირებული დეტალების შესახებ. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, თავად მიიღონ მონაწილეობა ქცევის წესების შემუშავებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმეტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე მხარდამჭერით და მიმღებლობით გარემოს უზრუნვალსაყოფად შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად, ამასთან, სკოლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოდგენილ მტკიცებულებებში მაგ. დანართი N28 - N108 საჯარო სკოლის პროექტი ნათლად, ჩანს მოსწავლეთა/მშობელთა აქტიური ჩართულობა სასკოლო პრექტის ფარგლებში აქტივოებების დაგეგმვისას.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კათედრის წევრები თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

3. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, განხორციელებული პროექტები და აქტივობები ადასტურებს საბაზო საფეხურზე არსებულ თანამშრომლობით კულტურას. მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს, ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „კრიტიკული მეგობარი“. სკოლაში შექმნილია მასწავლებლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, თანამშრომლობითი კულტურის განვითარება. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ინტერესებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროსაც აქტივობებს არჩევენ ბავშვების იტერესის გათვალისწინებით. კერძოდ შეიძლება ეს იყოს დამატებითი კომპლექსური დავალების თემა, დამატებითი აქტივობა, რომელიც შეიძლება იყოს ლაშქრობა ან სხვა წამახალისებელი ღონისძიება, რომლის სურვილიც ბავშვებს ექნებათ. მასწავლებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, კოლეგებთან და დირექციასთან. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

4. სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მექანიზმები აღწერილია, სასკოლო სასწავლო გეგმაში, საბაზო საფეხურზე არსებობს პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატი, რომელიც გამოხატვის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს/მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლის სივრცეში თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობასა და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა გადაიჭრება თანამშრომლობითი გზით. სასკოლო პროექტების წარმატებული განხორციელება სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით მიიღწევა. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის უფლება, რა ფორმით ჩაერთვებიან სასკოლო თუ სასწავლო პროექტებში, აქტივობებსა და საწრეო მუშაობაში. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მოსწავლის საჭიროებების მუდმივ მონიტორინგს დაკვირვებაზე დაფუძნებული პორტფოლიოების, რუბრიკების ან პროექტების მეშვეობით.

მასწავლებლები უზრუნველყოფენ სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით პოზიტიური კლიმატის შექმნას. რაც გამოიხატება კლასის დონეზე. დირექცია, რომელიც ჩართულია ფესტივალების ორგანიზებაში და ჩატარებაში ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- ისგს ჯგუფის ოქმები;
- 108-ე-სკოლა-შიდა-მონიტორინგის-დასკვნა-2022-2023წელი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- ხარისხის განვითარება;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
  - შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმა;
  - მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგები;
  - დანართი N4-თვითმმართველობის რეფლექსია დანართი N16- მოსწავლეთა პრეზენტაციები
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
  - ინტერვიუ მასწავლებლებთან.
  - დანართი: ქეისები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ჩარჩო/გეგმა, სადაც სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმი შედგენილია სკოლის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელი, საგნობრივი კათედრები, დირექცია). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს წარმოდგენილი მკაფიო ხედვა, სადაც მონიტორინგს და შეფასებას განიხილავს სასწავლო პროცესის თანმდევ მექანიზმად. დეტალურად აქვს გაწერილი შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო პროცესის შეფასების ინდიკატორები და მონაცემების შეგროვების გზები.

მასწავლებლები მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებენ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების მიხედვით. მონაცემების შეგროვება და წარმოებული სტატისტიკა ეხმარებათ, გაიაზრონ რამდენად ეფექტური იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მოითხოვს თუ არა ის უფრო გართულებას, გამარტივებას თუ რაიმეს შეცვლას. ეს ყველაფერი ეფექტურს ხდის სასწავლო პროცესს. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილსაც, რაც აადვილებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

2. სკოლის მიერ წარმოდგენილო დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგო და შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე. აღნიშნულს ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წახალისების მიზნით მექანიზმი-ბრძანება. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება. ერთად კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებს. ერთობლივად სახავენ შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიებს ეს პროცესები აისახება მოსწავლეთა შედეგებზე. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

3. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული კურიკულუმის მეთოდოლოგიის შინაარსის თანახმად, სკოლა მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობას იწყებს სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ გასული სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა შედეგების ანალიზი და თვითშეფასება, შესაბამისად, წინამდებარე გეგმა შედგენილია განვლილი წლის ანალიზის გათვალისწინებით.

მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი, რომელთაც ევალებათ მასწავლებელთა შიდა შეფასება, ყოველი სემესეტრის/სასწავლო წლის ბოლოს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების განხილვა, მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის , საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება) და განმავაითარებელი უკუკავშირის მიცემა.

სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირების, სისტემატიურად ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირება სხვადასხვა საგნებში. შედეგების ანალიზის საფუძველზე გასცემენ ინდივიდუალურ უკუკავშირს. სკოლა სემესტრისა და სასწავლო წლის დასარულს ატარებს ზეპირ ან წერით გამოკითხვას, რომელიც ემსახურება სწავლ-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მიღებული შედეგების გაანალიზებით იგეგმება სამომავლო ნაბიჯები პრობლემის აღმოსაფხვრელად. სამომავლოდ საბაზო კლასების კათედრა გეგმავს მეთოდოლოგიაში გაწერილი მექანიზმების სრულყოფას, მონიტორინგისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასების მიმართულებით. მასზე დაყრდნობით დაიწყება დაგეგმილი სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ისგს ჯგუფის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- შეფასების რუბრიკები
- ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.
- დანართი N5- საბაზო საფეხურის ქეისები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან დასტურდება, რომ სკოლა შეფასებისას ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს მაგ. სადამრიგებლო პროგრამებში, პედაგოგიურ საბჭოს/კათედრის /მშობელთა ოქმებში განხილული მოსწავლეთა მიღწევები და გამოკვეთილი პრობლემები/დაგეგმილი ინტერვენციები. კურიკუმის მეთოდოლოგიაში იკვეთება სკოლის ხედვა და სამომავლო მზაობა მოსწავლეთა სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეფასების შესახებ (მაგ. მშობელთა ჩართულობა, მოსწავლეებზე დაკვირვება და სხვ.) წარმოდგენილი დოკუმენტაციის სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებენ რუბრიკებს, დაკვირვების სქემებს მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლას არჩეული აქვს შეფასების მეორე მოდელი, სასკოლო გეგმაში განსაზღვრულია შეფასების ფორმები სადაც შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექტის გათვალსიწინებით: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, შეფასება სწავლების პროცესში (კონკრეტულად, როდესაც მოსწავლის შეფასება ხდება თემიდან თემამდე) და შემდეგში მის შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებით მხოლოდ შემაჯამებელ დავალებაში. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში ჩანს რომ, სკოლას აქვს მზაობა შეფასება მოახდინოს მრავალი კონტექსტის გათვალისიწინებით მაგალითად, მოსწავლის მიღწევების/საჭიროებების, მისი სოციალურ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობის მონიტორინგით, რასაც ადასტურების კათედრის/მშობელთა ხდომის ოქმები. სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და შემდგომში დაგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. პედაგოგის მიერ, კათედრასთან თანამშრომლობით, შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები. სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მასწავლებლები იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა, პორტფოლიო, დაკვირვების და ჩანაწერების დღიურები, ინტერვიუ, კითხვარი. ამის გათვალისწინებით ხდება მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში, სტრატეგიული განვითარების გეგმაში ნათლად ჩანს სკოლის მზაობა და ხედვა მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების შესახებ მაგალითად, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, თვითშეფასება. იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც ბავშვებთან ისე მშობლებთან, იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ასევე მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლების და პროექტების საშუალებით და ამაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებელებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მსგავსი ტიპის მიდგომა, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სკოლის მიერ არჩეული შეფასების მეორე მოდელის ფარგლებში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაზე განმავითარებელი შეფასების მრავალი ინტრუმეტების გამოყენებით და შემდგომ თემის ფარგლებში ხდება მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასებით შეფასება. აღნიშნული იძლევა მოსწავლის მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით შეფასების საშუალებას. შეფასების რუბრიკებში ნათლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია და სხვა. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. წარმოდგენილი მასალებიდან, მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები საბაზო საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლისთვის შედგენილია შეფასების გამარტივებული ვარიანტი, რაც გულისხმობს, რომ სამიზნე ცნებები იგივე რჩება, მაგრამ მარტივდება, მცირდება მკვიდრი წარმოდგენები საკითხები და ქვეცნებები, ასევე პროდუქტის წარდგენის სახე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- შეფასების რუბრიკები;
  - შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმა;
  - მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წამოდგენილი დოკუმენტაციიდან და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია, კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთებული დასკვნების განზოგადება და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. ახალი კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ წინა წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და შესაბამისად აწარმოებენ ამ პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. მოცემულ ეტაპზე საბაზო საფეხურზე ესტეტიკური აღზრდის კათედრას არ ჰქონდა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა მიმდინარეობს დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. თუმცა, სკოლას აქვს ხედვა და მზაობა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერი სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული კურიკულუმის მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლას აქვს წარმოდგენილი ხედვა თუ როგორ განახორციელებს კურიკულუმის რევიზიას და შექმნის გადამუშავებულ ვერსიას- „ ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „სკოლა მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობას იწყებს სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.'' შესაბამისად, სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ გასული სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა შედეგების ანალიზი და თვითშეფასება, შესაბამისად, წინამდებარე გეგმა შედგენილია განვლილი წლის ანალიზის გათვალისწინებით" აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. ი**ნდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

თვითშეფასების განაცხადი;

- სასკოლო სასწავლო გეგმა (კურიკულუმის მეთოდოლოგია);
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- წინა წლების კომპლექსურები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- დანართი N17-შეფასების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილის ანალიზი; დანართი N18-საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - საშუალო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
1. ურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
2. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, შესაბამისი თემატური ერთეულები, კომპლექსური დავალებები და სასწავლო რესურსები. სკოლის მიერ წარმოდგენილ „ქეისებში“ აღწერილია კურიკულუმზე მუშაობის ყველა საფეხური.

პედაგოგები გასაუბრებისას აანალიზებდნენ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავების სტრუქტურასა და პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით. ისინი აცნობიერებენ, რომ ამ პროცესში უნდა გამოიყენონ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც მათ მთელი სასწავლო წლის მანძილზე დაუგროვდათ და ერთობლივად განსაზღვრონ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია. მოსწავლეებთან და სწავლის დაწყებამდე - მშობლებთან პირისპირ შეხვედრის დროს ცდილობენ გაარკვიონ მათი ინტერესები და სურვილები და ეს ინტერესები შეძლებისდაგვარად ასახონ კიდეც კურიკულუმში. *სკ*ოლის პედ. საბჭოს 2023 **წლის 5 ივლისის № 8 ოქმში** ერთ - ერთ საკითხად განხილულია კურიკულუმის მეთოდოლოგიის განხილვა - დამტკიცება. ასევე, სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის 11 ოქმით დამტკიცებულ „სასკოლო სასწავლო გეგმაში“ ინტეგრირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლის მიერ მოწოდებული საშუალო საფეხურის კურიკულუმების შინაარსი ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. დოკუმენტაციის თანახმად, სასწავლო გეგმის დაგეგმვისას სკოლა მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით არჩევენ კომპლექსურ დავალებებს. საშუალო საფეხურის კურიკულუმები მრავალფეროვანია და საშუალებას აძლევთ მოარგონ სხვადასხვა ინტერესის მქონე მოსწავლეებს, რაც ზრდის ბავშვების ჩართულობას. პედაგოგები სხვადასხვა კლასებში დეტალურად აანალიზებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, აკვირდებიან მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს, მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობლებთან და ამ ფაქტორების გათვალისწინებით ახდენენ დავალებათა დაგეგმვასა და მოდიფიცირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ წარდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია კურიკულუმის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ, განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები. კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს. კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა, პედაგოგები მოტივირებულნი არიან სკოლის ადმინისტრაციასთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად ჩაერთონ საგნობრივი და ზოგადად სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. იგეგმება მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ჩართვა სასკოლო კურიკულუმის განვითარებასა და განხორციელებაში, კონკრეტულად, თვითმმართველობის წევრ მოსწავლეებს შეეძლებათ, თავინთი არგუმენტირებული იდეები და ხედვები მიაწოდონ კათედრებსა და ადმინისტრაციას, რაც გაზრდის სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლის თანამონაწილეობას სკოლის ცხოვრებაში. სურვილი აქვთ ამ პროცესში ჩართონ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. ამგვარი მიდგომა კურიკულუმის შემუშავებისას ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების როლისა და ფუნქციის გააზრებას. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებული ჩარჩოების, სასკოლო სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული „კურიკულუმის მეთოდოლოგიის“, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

4. საშუალო საფეხურის საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. სასკოლო გეგმა, შინაგანაწესი და სხვა აქტივობების განხორციელების გეგმა განთავსებულია თვალსაჩინოდ სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე/საკლასო ოთახებში. კურიკულუმის მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ პროცესში აქტიურად უნდა იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობლებთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

სასკოლო საზოგადებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმი გაზიარებული აქვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს. მასწავლებლები კათედრის სხდომებზე აქტიურად განიხილავენ, უზიარებენ ერთმანეთს შედეგებს. აანალიზებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს და ისე გეგმავენ სამომავლო ნაბიჯებს. ჩატარებული სასკოლო ფესტივალების დროს ჩართულია სასკოლო საზოგადოებაც და აქტიურად იღებენ მონაწილეობას ორგანიზებასა და განხორციელებაში. მშობლეს წლის განმავლობაში ჩატარებულ მშობელთა კრებებზე აცნობენ საგნის კურიკულუმს, ასევე ამ მიზნით იყენებენ სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებს. დოკუმენტაციის შესწავლის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის 11 ოქმით დამტკიცებულ „სასკოლო სასწავლო გეგმა“;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წელი (კურიკულუმის მეთოდოლოგია)
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედ. საბჭოს 2023 წლის 5 ივლისის ოქმი №8;
- დანართი „ქეისები“;
- დანართი N1-კომპლექსური დავალების მატრიცა; დანართი N2-ალავერდის მაკეტის შექმნა მშობელთა ჩართულობით; დანართი N3-წიგნი „გურია“; დანართი N4-თვითმმართველობის რეფლექსია
- მასწავლებლებთან გასაუბრებები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმების შინაარსის თანახმად, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრა ითვალისწინებს წინა წლების შედეგების ანალიზს, შემუშავებულ რეკომენდაციებს და პრობლემების გადაჭრის გზებს. კონტექსტ მაგალითებად შერჩეული მხატვრული ტექსტები, სავალდებულო ტექსტები, თემები, კომპლექსური დავალებების იდეები, მოსწავლეთათვის შეთავაზებული არაფორმალური განათლების აქტივობები - კლუბური მუშაობა, შემეცნებითი პროექტები, ზოგადად პედაგოგთა მზაობა სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტული მეთოდიკით წარმართვისა, ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას,

პროექტული შინაარსის დავალებების საშუალებით, როგორიცაა, მაგალითად, პოსტერის პრეზენტაცია თემებზე ,,Вредные привычки“, „История транспорта“, პოდკასტის/აუდიოჩანაწერი ცნობილი მხატვრის შესახებ (რუსული, მეათე- მეთერთმეტე კლასი), მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება

შერჩეული კომპლექსური დავალებები არის თემის და კლასის, მოსწავლის ასაკის შესაბამისად შერჩეული. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა დაეხმარება მასწავლებლებს სწავლების პროცესი ისე წარმართოს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. აღნიშნული კომპლექსური დავალებები დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობების მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ინტერესებსა და შეხედულებებს, იყენებენ წამახალისებელ აქტივობებს, რათა მოსწავლეთა ჩართულობა გაიზარდოს საგაკვეთილო პროცესში. დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები/მკვიდრი წარმოდგენები. პროექტების ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესის მიხედვით მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უნარებსაც მოითხოვს, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს.

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში წარმოდგენილი სასწავლო მასალა - სავალდებულო მხატვრული ტექსტები, საფეხურისთვის შერჩეული თემები, კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური ბუნების დავალებები, სკოლაში დასანერგი და შესამუშავებული ფორმალური და არაფორმალური განათლების სასწავლო სტრატეგიები, კონკრეტული, საგნის სწავლებისათვის მნიშვნელოვანი სპეციფიკური აქტივობები ეხმარება მოსწავლეს, ასევე კონკრეტული იდეების, მისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაში, ფუნქციურ - კომპეტენტური უნარების განვითარებაში. უცხოურ ენებში საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის შინაარსის მოიაზრებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებას. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეების/ძირითადი საკითხების, შესასრულებლად მოსწავლეებს სჭირდებათ მასალის სიღრმისეული გააზრება, მაღალი სააზროვნო უნარების აქტივირება, მაგ. უცხოური ენის ჩარჩოებში მოცემული ისეთი კომპლექსური დავალებები, როგორიცაა ესე სკოლაში მობილური ტელეფონების ტარების შესახებ, პოსტერის პრეზენტაცია თემაზე "კერძები საქართველოსა და სხვა ქვეყნებში", სტატია თემაზე: «Проблемы молодёжи». **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსის თანახმად, საგნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური კათედრის ოქმი, სადაც წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, ამ პროცესში ჩარჩულია საასკოლო საზოგადოება. 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი ინკლუზიური განათლების სწავლების ამოცანები და შინაარსი.

ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა რეფლექსიებზე მათი სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. კათედრის წევრებმა იციან, რომ ეს საგანმანათლებლო პრინციპი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და აკადემიური ცოდნის დონის ამაღლებაში. მასწავლებლები შეეცდებიან დავალების აქტივობები მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებას, რათა მათთვის უფრო ადვილი გახდეს საკუთარი სწავლის პროცესის სოციო-ემოციურად მართვა. მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიდგომები. სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში.

უცხო ენის კათედრის დოკუმენტაციაში არ ჩანს, როგორ ახდენენ უშუალოდ კომპლექსური დავალებების დიფერენცირებას, თუმცა გასაუბრებისას ზეპირად იქნა განხილული დავალების დიფერენცირების გზები. ასევე ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უცხოური ენის

მასწავლებლები შეისწავლიან მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს, შესაძლებლობებს და ყოველივე ამის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს, იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლას აქვთ მზაობა, გაითვალისწინოს დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები სასწავლო პროცესში. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები (სკოლას არჩეული აქვს შეფასების მეორე მოდელი). დანართის სახით წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები, რომელებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები: კომპლექსური დავალების შეფასება, კომპლექსური დავალების რეფლექსია, მოსწავლეთა თვითშეფასება და სხვა, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესის შესაფასებლად.

ვიზიტისას მასწავლებლებმა ისაუბრეს ზოგად რუბრიკებს როგორ გარდაქმნიან სამიზნე ცნებებთან, კონკრეტულ დავალებებთან, აქტივოებებთან მიმართებით. ასევე იმსჯელეს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ისტრუმენტებზე, რომელსაც იყენებენ სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლის ცოდნის დონის დიაგნოსტირებისთვის და განვითარებისთვის. მასწავლებლებმა ისაუბრეს კონკრეტულ მაგალითებზე, სადაც თავად მოსწავლეც აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ნამუშევრებს/ცოდნას. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ კიდევ უფრო მრავალფეროვან წყაროებს გამოიყენებენ რათა სასწავლო პროცესი უფრო სიღმისეულად შეისწავლონ, გამოიკვლიონ კურიკულუმების ძლიერი და სუსტი მხარეები.

დოკუმენტის სახით არ აქვს წარმოდგენი საშუალო საფეხურზე გეოგრაფიის შეფასების რუბრიკები, მაგრამ პირად გასაუბრებაში აღნიშნეს, რომ მასზე მუშაობენ და სწავლების პროცესში შექმნიან დოკუმენტსაც. რაც სარწმუნოა, რადგან კარგად აქვთ ნამუშევარი დაწყებით და საბაზო საფეხურზე. შეფასების რუბრუკები წარმოდგენილია პროექტებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაკავშირებით. საშუალო საფეხურზე გეოგრაფიის საგანთან არ არის წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასურველია შეიქმნას ისეთი შეფასების რუბრიკები რომლებიც განსაზღვრავს თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნების მიხედვით და მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, როგორც ეს გაკეთებულია ისტორიასა და მოქალაქეობაში. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი პედაგოგიური საბჭოს ოქმის, სასკოლო სასწავლო გეგმის, გასაუბრების თანახმად, საშუალო საფეხურზე ხორციელდება მიმდინარე სასწავლო პროცესის ანალიზი, მსჯელობენ მშობელთა ჩართულობის სტრატეგიებზე. შეფასების ინსტრუმენტებზე, კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებზე, შედეგებზე - რამ იმუშავა კარგად, რისი გამოსწორებაა უპრიანი და რა გზით უნდა მოხერხდეს პრობლემის გადაჭრა.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ კომპლექსური დავალებების მიხედვით ბავშვების შედეგებს, მათ ჩართულობას, დავალების შესრულების ხარისხს. აფასებენ სხვადასხვა აქტივობების შესაბამისობას ასაკთან და მათ შესაძლებლობებთან და ახალი კურიკულუმების შემუშავება ხდება ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით. დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადობასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა გამოცდილების ანალიზისას მიღებულ შედეგებსა და მონაცემებს გამოიყენებს და საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით ასახავს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი
- სასკოლო გეგმის დანართები 2023-2024;
- ინკლუზიური განათლების კათედრის ოქმი N1 2023-2024;
- პედსაბჭო - ინდგეგმა;
- სამეურვეო - ინდგეგმა;
- პროექტის შეფასების რუბრიკა;
- პედსაბჭოს ოქმი N8;
- საგნობრივი კურიკულუმი ; 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.დანართი N13-კომპლექსური დავალების რეფლექსია დანართი N14-ინტეგრირებული გაკვეთილის რეფლექსია
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით.
მაგ: ქართული ენა და ლიტერატურის კურიკულუმის ჩარჩოში კონტექსტ მაგალითებად შერჩეული მხატვრული ტექსტები, სავალდებულო ტექსტები, თემები, კომპლექსური დავალებების იდეები, მოსწავლეთათვის შეთავაზებული არაფორმალური განათლების აქტივობები - კლუბური მუშაობა, შემეცნებითი პროექტები, ზოგადად პედაგოგთა მზაობა სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტული მეთოდიკით წარმართვისა, ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალების სპეციფიკურ შემოქმედებით ასპექტებზე. საკუთარი პედაგოგიკური პრაქტიკიდან მოხმობილი მაგალითით ახსნეს და განმარტეს როგორ, რატომ უწყობს ხელს კომპლექსური დავალება მოსწავლეთა შინაგან მოტივაციას, მათ დაინტერესებასა და ჩართვას აქტიურ შემოქმედებით პროცესებში.
2023 წლის სექტემბერში სკოლაში აღინიშნა ევროპული ენების კვირეული, რომელშც მონაწილეობა მიიღო ყველა საფეხურის მოსწავლემ. კვირეულის ფარგლებში განხორციელდა მრავალი აქტივობა, კერძოდ, მოეწყო პრეზენტაციები, დამზადდა ბუკლეტები ქართულ და ინგლისურ ენებზე და გავრცელდა სკოლის თემში, შეიქმნა პოსტერები, კედლის გაზეთები ქართულ,ინგლისურ და გერმანულ ენებზე, დამზადდა ევროპის ქვეყნების დროშები და გამოიფინა სკოლის დერეფნებში და კიბეებზე, სკოლის ფოიეში გაიმართა მუსიკალური ღონისძიება - "აღიქვი ჟღერადობა - გამოიცანი ენა", ჩატარდა ვიქტორინები: ''ევროპა'', „გამოიცანი ევროპული ქვეყნის დროშა'', "გამოიცანი რომელი ქვეყნის დროშა/ გამოიცანი ეროვნული სამოსი'' და ა.შ.
კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს საკითხის სიღრმისეულ შესწავლას, ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების და შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოკვეთილია, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები საკითხის შესწავლის პარალელურად შემოქმედებით პროცესში, ქმნიან სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს და უზიარებენ სასკოლო საზოგადოების წევრებს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის შინაარსის თანახმად, სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპზე, რის მიხედვითაცაა შექმნილია საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები. ასევე წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებების ბარათებში კარგად ჩანს, რომ დავალების პირობები შექმნილია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეების წინარე ცოდნას. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები შემუშავებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, კომპლექსური დავალებები ეტაპობრივად პროგრესირებს და რთულდება კლასების მიხედვით. ახალი დავალებების შესრულებისთვის აუცილებელია ძველის ცოდნაც, რაც განამტკიცებს წინარე ცოდნას და უზრუნველყოფს ახლის ათვისებას.

დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. საშუალო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტების სახით. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის ორივე საგნის კურიკულუმები (კურიკულუმები წარმოდგენილია სხვა ფორმატით, თუმცა შეესაბამება საფეხურეობრივი სტაბდარტის მოთხოვნებს) პროექტული სწავლება გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური/კვლებითი უნარების, კრიტიკული აზროვნების განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში (სასწავლო გეგმა 2023-2024, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024წ, საგნობრივ კურიკულუმები) უმრავლეს შემთხვევაში სკოლა წარმოაგენს ხედვას მიმდინარე სასწავლო წელს როგორ ახდენდა და სამომავლოდ თუ როგორ შეძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა სტრატეგიებზე, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის სწავლის უნარების განვითარებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

4. სასწავლო პროცესი ითვალსწინებს ცოდნის სამი პირობის მიხედვით საკითხის გაგება-გააზრებას, რის მიხედვით სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის ჩარჩოები, ხოლო წინა წელს კი განხორციელებული აქვს კომპლექსური დავალებები, რომლის დამუშავების პროცესი ცოდნის კონსტრუირების მიხედვით განხორციელდა, რის მიხედვით წარმოგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები და პროქტების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები. საშუალო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმების თანახმად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ***უცხოური ენების 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმში ძირითადად ასახულია ორი ან სამი პროექტული ტიპის დავალება. სასურველია, იმ ტიპის დავალებები, რომელიც მოსწავლეს აძლევს საშუალებას გააქტიუროს ცოდნის სამივე კატეგორია, დაიგეგმოს და აისახოს ყველა თემაში , ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით.***

დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული), ***შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

რჩევა: სასურველია, იმ ტიპის დავალებები, რომელიც მოსწავლეს აძლევს საშუალებას გააქტიუროს ცოდნის სამივე კატეგორია, დაიგეგმოს და აისახოს ყველა თემაში , ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით.

5. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. აქტიურად იგეგმება და ხორციელდება არაფორმალური განათლების კუთხით მრავალფეროვანი აქტივობები (მაგ. გაკვეთილები მუზეუმებში/თეატრში, ნახატების კონკურსი სახელწოდებით„ გვაქვს უთვალავი ფერითა...“). წარმოდგემილი დოკუმეტაციიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში სკოლა ზრუნავს მოსწავლეებში სხვადასხვა საგნებში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ატარებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს. წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები ის ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ის უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან.

პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების - თემის, საგნობრივი საკითხების, ცნებებისა და დავალების პირობის ურთიერთკავშირი საშუალებას აძლევთ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა ფუნქციურ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპეტენტური უნარების განვითარებასა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას სასწავლო პროცესში. კათედრა გამოიყენებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოებს სასწავლო პროცესის გასაანალიზებლად. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები ;
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- პროექტის რეფლექსია;
- დანართი N28 - N108 საჯარო სკოლის პროექტი;
- მოსწავლეთა ნამუშევრები (პრეზენტაციები მუსიკის პროექტში);
- ევროპული ენების კვირეულის რეფლექსია, ფოტო-ვიდეო მასალები (ფეისბუქ ბმულების სახით);
- საგნობრივი კურიკულუმი ; 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.დანართი N13-კომპლექსური დავალების რეფლექსია დანართი N14-ინტეგრირებული გაკვეთილის რეფლექსია.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურზე (გარდა საბუნებისმეტყველოსი, ქართული ენისა და ლიტერატურის) შემუშავებული კომპლექსური ბუნების დავალებები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული მიდგომების გათვალისწინებით. შუალედური სასწავლო მიზნები ამუშავებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, შეფასების რუბრიკებში გამოკვეთილია კავშირი სამიზნე ცნებების, შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების და საკვანძო შეკითხვებს შორის.

სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) X და XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის რიგი გარემოებები, რომლებიც სასურველია, რომ გასწორდეს, კერძოდ:

ქიმიის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ატომის აღნაგობა და ქიმიური ბმები) პირველ ძირითად საკითხთან განსაზვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი „ელემენტთა პერიოდული სისტემა (გრძელი და მოკლე ვარიანტი)“, რომელიც გაუგებარია, არ იკითხება, თუ რა მოიაზრება ამ კონტექსტ - მაგალითის ქვეშ, ამავე საკითხთან ასვე განსაზღვრულია მაგალითები შედარებისთვის 1. „იონური და კოვალენტური ბმის მქონე ელემენტთა წყვილის ბარათი. (შესაბამისი გრაფიკული სქემებისა და ბმის წარმოქმნის მექანიზმის ჩვენებით)“, რომელიც თავისი შინაარსით ემსახურება ქიმიური ბმის, მისი წარმოქმნის მექანიზმისა და ტიპის გაანალიზებას (ქიმიური ბმის ტიპები ამავე კურიკულუმის ჩარჩოში მეორე ძირითად საკითხად არის გამოტანილი) და გაუგებარია, არ იკითხება, რას ემსახურება იგი.

II თემის (ქიმიური კინეტიკა) პირველ ძირითად საკითხთან განსაზვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი „ რეაქციის სითბური ეფექტი“, რომელიც არ მოდის კორელაციაში შესასწავლ პირველ ძირითად საკითხთან (რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები) და მასთან განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან, ამავე საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „როგორ წარმოვაჩინო თვალსაჩინოდ ბუკლეტის საშუალებით ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოქმედი ფაქტორების მნიშვნელობა ყოფა-ცხოვრებაში“, რომელიც გაუგებარია, არ იკითხება, თუ რა მოიაზრება ამ იდეის ქვეშ, ამავე საკითხთან ასვე განსაზღვრულია მაგალითები შედარებისთვის 1. 2. 3. „ნახშირწყალბადების წვა“, „საკვების კვებითი ღირებულება“ და „ალტერნატიული საწვავი“ რომლებიც თავისი შინაარსით არ მოდის კორელაციაში შესასწავლ პირველ ძირითად საკითხთან (რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები) და მასთან განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან.

ქიმიის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ელექტროლიტური დისოციაცია და ხსნარები) მეორე ძირითად საკითხთან განსაზვრული სამიზნე ცნებების ქვეცნებები დასაკორექტირებელია, მაგალითად, სამიზნე ცნების „ქიმიური ბმა“ შესაბამის ქვეცნებად მითითებულია „ელექტროლიტური დისოციაციის თეორია“, რომელიც არის თეორია, საკითხი და იგი ვერანაირად ვერ შესარულებს ქვეცნების როლს (ანალოგიურად არის სხვა სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნების შემთხვევაში).

II თემის (ელექტროქიმია (ჟანგვა-აღდგენა)) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „საინფორმაციო ბუკლეტის საშუალებით ბუნებასა და ყოფა-ცხოვრებაში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების მნიშვნელობისა და მათი თანმხლები არასასურველი პროცესების თავიდან აცილების გზების წარმოჩენა“, რომელიც თავისი შინაარსით არ მოდის კორელაციაში შესასწავლ პირველ ძირითად საკითხთან (ენერგიის ქიმიური წყაროები) და მასთან განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან, ამავე საკითხთან ასვე განსაზღვრულია მაგალითები შედარებისთვის „მეტალების კოროზია“ და „საკვების გადამუშავება“, რომლებიც თავისი შინაარსით არ მოდის კორელაციაში შესასწავლ პირველ ძირითად საკითხთან (ენერგიის ქიმიური წყაროები), სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან. კურიკულუმის ჩარჩოში თემა მითითებულია არასწორად, წერია - ელექტრო-ქიმია, ჟანგვა-აღდგენის რეაქციები და უნდა ეწეროს - ელექტროქიმია (ჟანგვა-აღდგენა) (სტანდარტის მიხედვით).

III თემის (არაორგანული ნაერთების მნიშვნელოვანი წარმომადგენლები) პირველ და მეორე ძირითად საკითხთან განსაზვრული სამიზნე ცნებების ქვეცნებები დასაკორექტირებელია, მაგალითად, სამიზნე ცნების „ნივთიერება“ შესაბამის ქვეცნებად მითითებულია „წყლის სიხისტე“, რომელიც არის საკითხი და იგი ვერანაირად ვერ შესარულებს ქვეცნების როლს (ანალოგიურად არის სხვა სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნების შემთხვევაში).

ფიზიკის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

I თემის (ელექტოსტაატიკა) პირველ და მეორე ძირითად საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე. მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნების გარეშე.
II თემის (მუდმივი დენის წყაროები) პირველ და მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნების გარეშე. მესამე ძირითად საკითხთან სამიზნე ცნების „მატერია“ შესაბამისი კერძო ქვეცნება არის მითითებული არასწორად, წერია ნივთიერების სტრუქტურა და ფიზიკური პროცესი და უნდა ეწეროს ნივთიერების სტრუქტურა და თვისებები.
ფიზიკის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო:
I თემის (ელექტრომაგნიტური პროცესები) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „ელექტრომაგნიტის მოდელის მაგალითზე ვაჩვენოთ მსგავსება და განსხვავება ელექტრომაგნიტსა და მუდმივი მაგnიტის მაგნიტურ ველებს შორის.ავხსნათ რა ახდენს გავლენას ელექტრომაგნიტის მიზიდვის უნარზე?
ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
1.რა ქმნის მაგნიტურ ველს და როგორ მჟღავნდება მისი არსებობა?
რით ჰგავს და განსხვავდება ის ელექტროსტატიკური და გრავიტაციული ველებისაგან?
2. რით გამოირჩევა დენის მაგნიტური მოქმედება დენის სხვა მოქმედებათაგან და რა პარამეტრებზეა დამოკიდებული დენის მაგნიტური ველი?“, რომელიც დასაკორექტირებელია, რადგან იგი არის კომპლექსური დავალება და არა კომპლექსური დავალების იდეა. ამავე საკითხთან ასვე განსაზღვრულია მაგალითები შედარებისთვის „აქტივობა - 1“ და „აქტივობა - 2“, რომელიც დასაკორექტირებელია, რადგან მაგალითები შედარებისთვის არ არის აქტივობები, არამედ ისინი მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენენ სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისთვის, მათი კონტექსტ-მაგალითთან შედარებას მოსწავლე მიყავს სამიზნე ცოდნის გააზრებამდე და ისინი ამავდროულად ასრულებენ ფონური ცოდნის როლს.
II თემის (რხევები და ტალღები) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „შეისწავლეთ მათემატიკური ქანქარას რხევითი მოძრაობა. შეადარეთ ის ზამბარიანი ქანქარას რხევას. შექმენი პოსტერი,სადაც წარმოაჩენ საქანელასა და ზამბარაზე მიმაგრებულ ტვირთზე მოქმედი ძალების ცვლილებით გამოწვეული მოძრაობის კანონზომიერებებს.
ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
1.გამოსახეთ და აღწერეთ საქანელაზე მოქმედი ძალები და მათი ტოლქმედი საქანელას წონასწორობისა და რხევის პროცესის სხვადასხვა მომენტისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.როგორ მოძრაობას იწვევს საქანელაზე მოქმედი ძალები?(ტოლქმედი)? დაახასიათეთ აღნიშნული ძალების მდგენელების როლი ამ მოძრაობისას.

3.შეადარეთ საქანელას რხევის გამომწვევი ძალები ზამბარიანი ქანქარას რხევის გამომწვევ ძალებს. დაადგინეთ რომელი ძალა განაპირობებს ჰარმონიულ რხევას?", რომელიც დასაკორექტირებელია, რადგან იგი არის კომპლექსური დავალება და არა კომპლექსური დავალების იდეა. ამავე საკითხთან ასვე განსაზღვრულია მაგალითები შედარებისთვის „აქტივობა - 1" და „აქტივობა - 2", რომელიც დასაკორექტირებელია, რადგან მაგალითები შედარებისთვის არ არის აქტივობები, არამედ ისინი მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენენ სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისთვის, მათი კონტექსტ-მაგალითთან შედარებას მოსწავლე მიყავს სამიზნე ცოდნის გააზრებამდე და ისინი ამავდროულად ასრულებენ ფონური ცოდნის როლს. კურიკულუმის ჩარჩოში თემა მითითებულია არასწორად, წერია - ელექტრომაგნიტური რხევები და ტალღები და უნდა ეწეროს - რხევები და ტალღები (სტანდარტის მიხედვით).

III თემის (გეომეტრიული ოპტიკა) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „ენერგია" შესაბამისი კერძო ქვეცნების გარეშე, ამავე საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „შექმენი პოსტერი, რომლის მეშვეობით შეძლებთ აღწეროთ გარემოში საგნიდან წამოსული სინათლის სხივის გავრცელების პროცესი, როდესაც სხეული მოჩანც იქ, სადაც არ არის.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:

კრიტერიუმი #1

როგორ ვრსელდება სინათლე გარემოში და როგორ ვხედავთ საგნებს?

კრიტერიუმი#2

რა და როგორ იცვლება ერთი გარემოდან მეორეში სინათლის სხივის გადასვლისას? გარემოს რომელი მახასიათებლები ახდენენ გავლენას სინათლის გავრცელებაზე?

კრიტერიუმი #3

როგორ შეიძლება აიხსნას მირაჟის წარმოქმნა, სხვადასხვა ოპტიკურ მოწყობილობაში გამოსახულების მიღებისმაგალითების მეშვეობით?", რომელიც დასაკორექტირებელია, რადგან იგი არის კომპლექსური დავალება და არა კომპლექსური დავალების იდეა, ამავდროულად, თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება - ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ბიოლოგიის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I და II თემის ყველა ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება მითითებული არის არასწორად, წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად ყველა ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - ავტორის გარეშე.

ბიოლოგიის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

ყველა ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება მითითებული არის არასწორად, წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით).

სკოლის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის გზით გადმოგზავნილია საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა) მიმართულების ის კომპლექსური დავალებები, რომლის მიხედვითაც იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს (X და XI კლასები).

ქიმიის X კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში „ატომის აღნაგობა და ქიმიური ბმები“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება სამი სამიზნე ცნების - ნივთიერება, ქიმიური ბმა და ფიზიკური და ქიმიური მოვლენები მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია მხოლოდ ორი სამიზნე ცნება - ნივთიერება და ფიზკიური და ქიმიური მოვლენები)

ქიმიის X კლასის მეორე სავალდებულო სასწავლო თემაში „ქიმიური კინეტიკა“ მოწოდებული კომპლექსური დავალება (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) თავისი შინაარსით არ მოდის კორელაციაში ძირითად საკითხთან, მასთან განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან და იგი პრაქტიკულად თავიდან არის გასაწერი.

ქიმიის XI კლასის მეორე სავალდებულო სასწავლო თემაში „ელექტროქიმია (ჟანგვა-აღდგენა)“ მოწოდებული კომპლექსური დავალება (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) თავისი შინაარსით არ მოდის კორელაციაში ძირითად საკითხთან, მასთან განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან და იგი პრაქტიკულად თავიდან არის გასაწერი.

ფიზიკის XI კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში „ელექტრომაგნიტური მოვლენები“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებები/ქვეცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიხედვით მუშავდება ერთი სამიზნე ცნების - მატერია მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია ოთხივე სამიზნე ცნება - მატერია; ძალა; ენერგია და ფიზიკური პროცესი).

ბიოლოგიის X კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში „უჯრედის ბიოლოგია“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებები/ქვეცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება ოთხი სამიზნე ცნების - სრუქტურა, ფუნქცია, სასიცოცხლო თვისება, ბიომრავალფეროვნება და ,ჯანმრთელობა და დაავადება მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია მხოლოდ სამი სამიზნე ცნება - სტრუქტურა, ფუნქცია, ბიომრავალფეროვნება და სასიცოცხლო თვისება).

რჩევა: სკოლას მიეცეს რჩევა, რომ საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ბიოლოგია. ქიმია) მიმართულების ყველა კლასის (X და XI კლასები) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებული იყოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, სავალდებულო სასწავლო თემების და სამიზნე ცნების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ცნებასთან განსაზღვრული იყოს შესაბამისი კერძო ქვცენება (ამავდროულად სწორად), ყველა ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსებში მითითებულ გრიფირებულ სახელმძღვანელოს კი - ავტორი და გვერდი. კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულ კომპლექსური დავალების იდეაში არ იყოს გაწერილი კომპლექსური დავალება, ამავდროულად, კომპლექსური დავალების იდეაში იკითხებოდეს აზრი და იყოს გასაგები. კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითად (ნებიემიერ) საკითხთან განსაზღვრული სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, ძირითადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის მოდიოდეს ერთმანეთთან კორელაციაში, მაგალითები შედარებისთვის არ იყოს გაწერილი აქტივობების სახით.

კომპლექსურ დავალებაში მითითებული სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში მითითებული სამიზნე ცნებები/ქვეცნებები (ერთი და იგივე კონტესქსტ - მაგალითის შემთხვევაში) იდენტური იყოს, კომპლექსური დავალება თავისი შინაარსით კორელაციაში მოდიოდეს ძირითად საკითხთან, მასთან განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან.

ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგიური პერსონალი თვლის, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლეები დროთა განმავლობაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ კონკრეტული საგნობრივი საკითხების დამუშავებით შეძლებენ სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებასა და გაცნობიერებას თუმცა **კურიკულუმის ჩარჩოებში არ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გახლავთ წარმოდგენილი ცნებათა შესაბამისი ქვეცნებები, (მე-მე-10; მე-11, მე-12კლასებ). რაც აძნელებს განხორციელებული, (განსახორციელებელი) დავალებების სასწავლო შედეგებისა და სამიზნე ცნებების გათავისების ეფექტიანობის განსაზღვრის შესაძლებლობას.

რჩევა - მნიშვნელოვანია, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საშუალო საფეხურზე შესასწავლ ტექსტთა მრავალპლანიანობის გამო, თითოეული თემის ან ქვეთემის გასაგრძელებლად წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი შემოქმედებითი და ანალიტიკური ხასიათის დავალება. სასურველია დავალებათა პირობებში წარმოდგენილი მითითებებიც იყოს უფრო მკაფიო, ნათელი და მეთოდურად გამართული.

<u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს დაწესებულების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ ჩასწორებული მე-10, მე-11 და მე-12 კლასების კურიკულუმები რომელშიც წარმოდგენილი ცნებათა შესაბამის ქვეცნებები, თუმცა გასათვალისწინებელია გაცემული რჩევა (იხ წინა აბზაცი), ამასთან სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს, რომ კურიკულუმებში მიუთითოს თემის შესაბამისი ქვეთემებიც. **აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.**</u>

2. საშუალო საფეხურზე მუსიკაში წარმოდგენილი პროექტის კურიკულუმის შინაარსის თანახმად პროექტის განხორციელებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული პროექტი მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების, მომსენისას, ხელოვნების ნიმუშებზე მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე საუბარი. სასკოლო სასწავლო გეგმიდან და მისიიდან გამომდინარე ნათლადაა წარმოდგემლი სკოლის ხედვა მოსწავლეების პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესთან მიმართებით.

შერჩეული თემატური ერთეულები, დავალების შესრულებისას გადასაჭრელი და გასაანალიზებელი პრობლემები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, განსახორციელებელი აქტივობები, კონტექსტ მაგალითები, რომლლებიც წარმოადგინა სკოლამ შეესაბამება მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონესა და ითვალისწინებს მოსწავლეთა განვითარების ინდივიდუალურ თავისებურებებს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. წარმოდგენილი შეფასების ზოგადი/კონკრეტული რუბრიკებიდან (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) ჩანს, რომ კათედრა სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის იყენებს შეფასების ორივე ფორმას და მოსწავლეებს აფასებს მრავალმხრივად. სკოლას არჩეული აქვს შეფასების მეორე მოდელი, სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურადაა წარმოდგემილი ამ მოდელის ფარგლებში მოსწავლის შეფასების ხედვა და ამოცანები. სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადსხვა შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა სხვადასხვა აქტივობების შეფასებას. ***უცხოური ენების კათედრას გააზრებული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მიმართულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე კათედრა გეგმავს შეფასების ისეთი რუბრიკების შექმნას, რომელიც მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას დაინახოს მოსწავლე პიროვნული, ფსიქო-სოციალური და აკადემიური უნარების ჭრილში.*** სკოლა ცდილობს მოსწავლეები ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით ჩართონ სასწავლო პროცესში. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას სამიზნე ცნების ფლობის დონის განსასაზღვრად. შემაჯამებილი წერების დროს მოსწავლემა წინასწარ იციან, რომელ კომპონენტში და რამდენი ქულით შეფასდებიან. თითოეული თემისათვის, შემაჯამებელი დავალებებისათვის კათედრა შეიმუშავებს და დახვეწს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეძლებისდაგვარად გააანალიზებს მოსწავლის განვითარების ყველა სფეროს (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო ემოციური).

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, მათ აქვთ შექმნილი შეფასების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებისთვის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) რუბრიკები, თუმცა **არის მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც სასურველია, რომ გასწორდეს, კერძოდ,**

ქიმიის X კლასის პირველი სავალდებულო თემის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში თემა არის მითითებული არასწორად, წერია ატომის აღნაგობა და უნდა ეწეროს ატომის აღნაგობა და ქიმიური ბმები, ამადროულად, იგი არ არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, აღნიშნულ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში ხდება მოსწავლის შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით: „მოსწავლე აქტიურად ესწრება საგაკვეთილო პროცესს და ჩართულია სასწავლო აქტივობებში - 2 ქულა“ და „მოსწავლე მუშაობას საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, თანამშრომლობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კლესელებთან და მასწავლებელთან“ – 2 ქულა, (დანარჩენი 6 ქულა არის გადანაწილებული რა უნდა შეძლოს მოსწავლემ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიმართ).

ქიმიის X კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში (შექმნილი არის პირველი სავალდებულო თემის ერთი კონტექსტ - მაგალითისთვის) სამიზნე ცნების „ნივთიერება“ მკვიდრი წარმოდგენები მითითებულია არასწორად, შეფასების რუბრიკაში მითითებული სამიზნე ცნებები არ მოდის თანხვედრაში კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილთან (კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულია სამიზნე ცნებები - ნივთიერება და ფიზიკური და ქიმიური მოვლენები, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში - ნივთიერება, ქიმიური ბმა და ფიზიკური და ქიმიური მოვლენები), თავად შეფასების რუბრიკაც დასაკორექტირებელია.

ქიმიის XI კლასის პირველი სავალდებულო თემის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში თემა არის მითითებული არასწორად, წერია ხსნარები და უნდა ეწეროს ელექტროლიტური დისოციაცია და ხსნარები, ამადროულად, იგი არ არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, აღნიშნულ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში ხდება მოსწავლის შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით: „მოსწავლე აქტიურად ესწრება საგაკვეთილო პროცესს და ჩართულია სასწავლო აქტივობებში - 2 ქულა“ და „მოსწავლე მუშაობას საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, თანამშრომლობს კლესელებთან და მასწავლებელთან“ – 2 ქულა, (დანარჩენი 6 ქულა არის გადანაწილებული რა უნდა შეძლოს მოსწავლემ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიმართ).

ფიზიკის X კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (შექმნილი არის პირველი სავალდებულო თემის ერთი კონტექსტ - მაგალითისთვის) დასაკორექტირებელია, რადგან იგი არ არის გაწერილი სრულყოფილად სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიმართ.

ბიოლოგიის XI კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში (შექმნილი არის პირველი სავალდებულო თემის ერთი კონტექსტ - მაგალითისთვის) რუბრიკაში მითითებული სამიზნე ცნებები არ მოდის თანხვედრაში კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილთან (კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულია სამი სამიზნე ცნება - სტრუქტურა, ფუნქცია, სასიცოცხლო თვისება და ბიომრავალფეროვნება, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში - სტრუქტურა, ფუნქცია, სასიცოცხლო თვისება, ჯანმრთელობა და დაავადება და ბიომრავალფეროვნება).

რჩევა: სკოლას მიეცეს რჩევა, რომ საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების განმასზღვრელი შეაფასების რუბრიკაში სასწავლო თემის დასახელება მითითებული იყოს სწორად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(სტანდარტის შესაბამისად), ამავდროულად, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა იყოს გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, არ განხორციელდეს მოსწავლის შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით: „მოსწავლე აქტიურად ესწრება საგაკვეთილო პროცესს და ჩართულია სასწავლო აქტივობებში - 2 ქულა“ და „მოსწავლე მუშაობას საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, თანამშრომლობს კლესელებთან და მასწავლებელთან“ – 2 ქულა. საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების განმავითარებელი შეაფსების რუბრიკებში სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მითითებული იყოს სწორად (სტანდარტის შესაბამისად), შეფასების რუბრიკებში გაწერილი სამიზნე ცნება/ქვეცნება თანხვედრაში მოდიოდეს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულ სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან (ერთი და იგივე კონტექსტ - მაგალითის შემთხვევაში).

მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა. ყველა ტიპის შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე და მათი განვითარებისთვის. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

4. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს რომ შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდატრის გათვალისწინებით. მოსწავლეები ფასდებიან კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებით და მათთვის ნაცნობია შეფასების კრიტერიუმები. სკოლას არჩეული აქვს შეფასების მეორე მოდელი. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში განაცხადეს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი ურთერთშეფასებასა და თვიშეფასებაში. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს გამოსაყენებელ რუბრიკებს, ასევე მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს. შეფასების სიხშირეს მონიტორინგს უწევს ადმინისტრაცია ელექტრონული ჟურნალის სისტემატური მონიტორინგის გზით. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმეტი, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, პრინციპები, პროცესი, პასუხისმგებელ პირი/პირები. დოკუმენტში ასახულია ვერიფიკაციის შემდეგი ამოცანები: ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან, ბ) მოსწავლის მიღწევის ანალიზი გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. დოკუმენტში ასევე ასახული ვერიფიკაციის პრინციპები. სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების ინსტრუმენტის, პროცესის და მტკიცებულებების (შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების) ვერიფიკაცია. წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დოკუმენტაციიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა წარმართოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

6. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- სტრატეგიული გეგმა 7 წლიანი;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- პედსაბჭოს ოქმი N8 დანართი ვერიფიკაციის-მექანიზმი;
- საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ბიოლოგია და ფიზიკა) მიმართულების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, კომპლექსური დავალებები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა), გასაუბრება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების პედაგოგებთან;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია, მიზნები და ღირებულებები, რის მიხედვით აქცენტი კეთდება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და განვითარებაზე. კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებში კარგად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. აქტივობები და დავალებები ორგანიზებულია მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორიცაა წარმატებული მოსწავლის სიტყვიერი შეფასება, მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოვება და სხვა. მოსწავლე მასწავლებლისგან მუდმივად გრძნობს მხარდაჭერას. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ჩართულნი არიან სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრაში. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და ერთმანეთის დახმარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და კულტურული თავისებურებანი. იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს თანამშრომლობით ურთიერთობებს.

გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მშობლებთან აქვთ ღია ურთიერთობები, აწარმოებენ მათთან სატელოფონო კომუნიკაციას, მიმოწერას, აცნობენ მათ შვილებთან დაკავშირებული დეტალების შესახებ. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, თავად მიიღონ მონაწილეობა ქცევის წესების შემუშავებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმეტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე მხარდამჭერით და მიმღებლობით გარემოს უზრუნვალსაყოფად შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად, ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში მაგ. დანართი N28 - N108 საჯარო სკოლის პროექტი ნათლად, ჩანს მოსწავლეთა/მშობელთა აქტიური ჩართულობა სასკოლო პრექტის ფარგლებში აქტივოებების დაგეგმვისას.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კათედრის წევრები თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, განხორციელებული პროექტები და აქტივობები ადასტურებს საშუალო საფეხურზე არსებულ თანამშრომლობით კულტურას. მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს, ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „კრიტიკული მეგობარი“. სკოლაში შექმნილია მასწავლებლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, თანამშრომლობითი კულტურის განვითარება. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ინტერესებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროსაც აქტივობებს არჩევენ ბავშვების იტერესის გათვალისწინებით. კერძოდ შეიძლება ეს იყოს დამატებითი კომპლექსური დავალების თემა, დამატებითი აქტივობა, რომელიც შეიძლება იყოს ლაშქრობა ან სხვა წამახალისებელი ღონისძიება, რომლის სურვილიც ბავშვებს ექნებათ. მასწავლებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, კოლეგებთან და დირექციასთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მექანიზმები აღწერილია, სასკოლო სასწავლო გეგმაში, საშუალო საფეხურზე არსებობს პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატი, რომელიც გამოხატვის შესაძლებლობას თანაბრად აძლევს როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს/მშობელს. სასკოლო საზოგადოების წევრები სკოლის სივრცეში თავისუფლად ახერხებენ თანამშრომლობასა და ჯანსაღ კომუნიკაციას. როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა გადაიჭრება თანამშრომლობითი გზით. სასკოლო პროექტების წარმატებული განხორციელება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით მიიღწევა. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის უფლება, რა ფორმით ჩაერთვებიან სასკოლო თუ სასწავლო პროექტებში, აქტივობებსა და საწრეო მუშაობაში. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მოსწავლის საჭიროებების მუდმივ მონიტორინგს დაკვირვებაზე დაფუძნებული პორტფოლიოების, რუბრიკების ან პროექტების მეშვეობით.

მასწავლებლები უზრუნველყოფენ სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით პოზიტიური კლიმატის შექმნას. რაც გამოიხატება კლასის დონეზე. დირექცია, რომელიც ჩართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფესტივალების ორგაიზებაში და ჩატარებაში ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- კითხვარი სასკოლო პროექტის მიმართულება (1-1456);
- სასკოლო პროექტის მიმართულებების კითხვარი;
- დანართი N28 - N108 საჯარო სკოლის პროექტი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- დანართი N4-თვითმმართველობის რეფლექსია დანართი N16- მოსწავლეთა პრეზენტაციები;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ჩარჩო/გეგმა, სადაც სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმი შედგენილია სკოლის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელი, საგნობრივი კათედრები, დირექცია). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს წარმოდგენილი მკაფიო ხედვა, სადაც მონიტორინგს და შეფასებას განიხილავს სასწავლო პროცესის თანმდევ მექანიზმად. დეტალურად აქვს გაწერილი შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო პროცესის შეფასების ინდიკატორები და მონაცემების შეგროვების გზები.

მასწავლებლები მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებენ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების მიხედვით. მონაცემების შეგროვება და წარმოებული სტატისტიკა ეხმარებათ, გაიაზრონ რამდენად ეფექტური იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მოითხოვს თუ არა ის უფრო გართულებას, გამარტივებას თუ რაიმეს შეცვლას. ეს ყველაფერი ეფექტურს ხდის სასწავლო პროცესს. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილსაც, რაც აადვილებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

2. სკოლის მიერ წარმოდგენილო დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე. აღნიშნულს ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მიზნით მექანიზმი-ბრძანება. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება. ერთად კათედრის სხდომებზე განიხილავენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ჩატარებული კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებს. ერთობლივად სახავენ შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიებს ეს პროცესები აისახება მოსწავლეთა შედეგებზე. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

3. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული კურიკულუმის მეთოდოლოგიის შინაარსის თანახმად, სკოლა მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობას იწყებს სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ გასული სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა შედეგების ანალიზი და თვითშეფასება, შესაბამისად, წინამდებარე გეგმა შედგენილია განვლილი წლის ანალიზის გათვალისწინებით.

მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს. სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი, რომელთაც ევალებათ მასწავლებელთა შიდა შეფასება, ყოველი სემესეტრის/სასწავლო წლის ბოლოს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების განხილვა, მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის , საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება) და განმავაითარებელი უკუკავშირის მიცემა.

სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირების, სისტემატიურად ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირება სხვადასხვა საგნებში. შედეგების ანალიზის საფუძველზე გასცემენ ინდივიდუალურ უკუკავშირს. სკოლა სემესტრისა და სასწავლო წლის დასარულს ატარებს ზეპირ ან წერით გამოკითხვას, რომელიც ემსახურება სწავლ-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მიღებული შედეგების გაანალიზებით იგეგმება სამომავლო ნაბიჯები პრობლემის აღმოსაფხვრელად. სამომავლოდ საშუალო საფეხურზე იგეგმება მეთოდოლოგიაში გაწერილი მექანიზმების სრულყოფა, მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. მასზე დაყრდნობით დაიწყება დაგეგმილი სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
ისგს ჯგუფის ოქმები;
108-ე-სკოლა-შიდა-მონიტორინგის-დასკვნა-2022-2023 წელი;
ხარისხის განვითარება;
სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
საშუალო საფეხურის ქეისები;
უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოები;
ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ საშუალო საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დასტურდება, რომ სკოლა შეფასებისას ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს მაგ. სადამრიგებლო პროგრამებში, პედაგოგიურ საბჭოს/კათედრის /მშობელთა ოქმებში განხილული მოსწავლეთა მიღწევები და გამოკვეთილი პრობლემები/დაგეგმილი ინტერვენციები. კურიკუმის მეთოდოლოგიაში იკვეთება სკოლის ხედვა და სამომავლო მზაობა მოსწავლეთა სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეფასების შესახებ (მაგ. მშობელთა ჩართულობა, მოსწავლეებზე დაკვირვება და სხვ.) წარმოდგენილი დოკუმენტაციის სასწავლო წლის დასაწყისში შევიმუშავებენ რუბრიკებს, დაკვირვების სქემებს მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. სკოლას არჩეული აქვს შეფასების მეორე მოდელი, სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს რომ, სკოლას აქვს მზაობა შეფასება მოახდინოს მრავალი კონტექსტის გათვალისიწნებით მაგალითად, მოსწავლის მიღწევების/საჭიროებების, მისი სოციალურ და ფსიქ-ოემოციურ მდგომარეობის მონიტორინგით, რასაც ადასტურების კათედრის/მშობელთა ხდომის ოქმები. სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და შემდგომში დაგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პედაგოგის მიერ, კათედრასთან თანამშრომლობით, შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები. სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მასწავლებლები იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა, პორტფოლიო, დაკვირვების და ჩანაწერების დღიურები, ინტერვიუ, კითხვარი. ამის გათვალისწინებით ხდება მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში, სტრატეგიული განვითარების გეგმაში ნათლად ჩანს სკოლის მზაობა და ხედვა მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების შესახებ მაგალითად, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, თვითშეფასება. ხშირად იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც ბავშვებთან ისე მშობლებთან, იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ასევე მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლების და პროექტების საშუალებით და ამაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებელებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი ტიპის მიდგომა, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, სკოლის მიერ არჩეული შეფასების მეორე მოდელის ფარგლებში ძირითადი ყურაღება გამახვილებულია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაზე განმავითარებელი შეფასების მრავალი ინტრუმეტების გამოყენებით და შემდგომ თემის ფარგლებში ხდება მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასებით შეფასება. აღნიშნული იძლევა მოსწავლის მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით შეფასების საშუალებას. შეფასების რუბრიკებში ნათლად ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია და სხვა. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. წარმოდგენილი მასალებიდან, მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ მასწავლებლები საშუალო საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლისთვის შედგენილია შეფასების გამარტივებული ვარიანტი, რაც გულისხმობს, რომ სამიზნე ცნებები იგივე რჩება, მაგრამ მარტივდება, მცირდება მკვიდრი წარმოდგენები საკითხები და ქვეცნებები, ასევე პროდუქტის წარდგენის სახე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშულო საფეხურზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- შეფასების რუბრიკები;
  - შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმა;
  - მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგები;
  - დაკვირვების დღიური;
  - ვერიფიკაციის დოკუმენტი;
  - დანართი N39. დანართი N43;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წამოდგენილი დოკუმენტაციიდან და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია, კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთებული დასკვნების განზოგადება და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. ახალი კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ წინა წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და შესაბამისად აწარმოებენ ამ პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. მოცემულ ეტაპზე საშუალო საფეხურზე ესტეტიკური აღზრდის კათედრას არ ჰქონდა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა მიმდინარეობს დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. თუმცა, სკოლას აქვს ხედვა და მზაობა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერი სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულ კურიკულუმის მეთოდოლოგიაში სკოლას აქვს წარმოდგენილი ხედვა თუ როგორ განახორციელებს კურიკულუმის რევიზიას და შექმნის გადამუშავებულ ვერსიას- „ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „სკოლა მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობას იწყებს სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.'' შესაბამისად, სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ გასული სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა შედეგების ანალიზი და თვითშეფასება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაბამისად, წინამდებარე გეგმა შედგენილია განვლილი წლის ანალიზის გათვალისწინებით“ აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. ი**ნდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

თვითშეფასების განაცხადი;

- სასკოლო სასწავლო გეგმა (კურიკულუმის მეთოდოლოგია)
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- წინა წლების კომპლექსურები;
- დანართი N17-შეფასების ჯგუფის მიერ განხორციელებული გაკვეთილის ანალიზი; დანართი N18-საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ჯგუფის წევრების ხელმოწერა

მედეა მაქაცარია

თეა მათითაიშვილი -



მირანდა თურმანიძე -

სოფიო მგალობლიშვილი -

სოფიო გელაშვილი -

ჟანა ბელქანია -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნიკოლოზ ჩუბინიძე -

მარინე ახალაია -

გიორგი კოპლატაძე -

ნინო ჭანტურიძე -

04.12.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---